საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 155-156 (176) ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 1991 წელი ფასი 15 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

ხელმძღვანელობს რა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის 1991 წლის 9 აპრილის საგანგებო სხდომის მიერ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ საქართველოს რესპუბლიკის კანონები:

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ",

„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" მათი გამოქვეყნების დღიდან.

ამ კანონების მოქმედება ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა ბანკზე.

2. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-9 და 22-ე (2ბ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი) მუხლები ძალაში შევა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ" და „გაკოტრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიღების შემდეგ.

3. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი, ყოფილი სსრკ აგრომრეწვბანკის და სსრკ მრეწვმშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები მათი ქსელით, გამოთვლითი ცენტრებით, მთელი აქტივებითა და პასივებით, აგრეთვე სსრკ სახელმწიფო ბანკის ინკასაციის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო მისი დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებით.

4. გაუქმდეს სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

5. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის ის დებულებები, რომლებიც ეხება ეროვნული ბანკის სრულ საემისიო უფლებებს, ძალაში შევა ეროვნული ფულის მიმოქცევაში გაშვებასთან ერთად.

ქართული ფულადი ერთეულის შემოღებამდე საქართველოს რესპუბლიკაში ოფიციალური ფულადი ერთეულია საერთო-საკავშირო მანეთი, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის ურთიერთობა სსრკ სახელმწიფო ბანკთან და სხვა რესპუბლიკების ცენტრალურ ბანკებთან უნდა განხორციელდეს შესაბამისი ბანკთაშორისი შეთანხმებების საფუძველზე.

6. დაქვემდებარებაში გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს სსრკ სახელმწიფო ბანკის გამოთვლითი ცენტრი, სსრკ სახელმწიფო ბანკის ინკასაციის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო დაქვემდებარებული წარმოება-დაწესებულებებით.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ყოფილი სსრკ შემნახველი ბანკის, სსრკ მრეწვმშენბანკის, სსრკ აგრომრეწვბანკის და სსრკ ბინსოცბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკები გარდაიქმნას სახელმწიფო-კომერციულ და აქციონერულ-კომერციულ ბანკებად, აგრეთვე შეიქმნას ექსპორტ-იმპორტის სახელმწიფო-კომერციული ბანკი.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წინადადება ეროვნული ბანკის საწყისი საწესდებო ფონდის ოდენობისა და შექმნის შესახებ.

9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა:

ა) ერთი თვის ვადაში განსაზღვროს და დაამტკიცოს ცენტრალური აპარატისა და დაქვემდებარებული ორგანიზაციების სტრუქტურა, რიცხოვნობა და შენახვის ხარჯები;

ბ) სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დასამტკიცებლად წარუდგინოს ეროვნული ბანკის წესდება;

გ) 1991 წლის ბოლომდე უზრუნველყოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა ამ კანონების შესაბამისი საბანკო ინსტრუქციებითა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით. ასეთების მიღებამდე საბანკო სისტემაში მოქმედებს არსებული ინსტრუქციები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, მათ შორის სსრკ სახბანკისა, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ზემოთ აღნიშნული კანონების მოთხოვნებს;

დ) უზრუნველყოს კომერციული ბანკების საქმიანობის შესამოწმებლად აუდიტორული ორგანიზაციების შექმნა;

ე) დაადგინოს უცხოურ ვალუტაში საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზირების წესი და სამი თვის ვადაში მოახდინოს ამ ოპერაციებზე ადრე გაცემული ლიცენზიების ხელახალი რეგისტრაცია;

ვ) სამი თვის განმავლობაში დაადგინოს კომერციული ბანკების რეგისტრაციის წესი და 1991 წლის ბოლომდე მოახდინოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა კომერციული ბანკისა და ფილიალის ხელახალი რეგისტრაცია.

კომერციულ ბანკებსა და კომერციული ბანკების ფილიალებს, რომლებიც არ გაივლიან ხელახალ რეგისტრაციას, ჩამოერთვათ მოქმედების უფლება.

10. დაუწესდეს კომერციულ ბანკებს რეგისტრაციის გადასახადი ათი ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიის გაცემაზე — ხუთი ათასი მანეთის ოდენობით. უცხოეთისა და ერთობლივი ბანკები აღნიშნულ გადასახდელებს იხდიან მყარ კონვერტირებულ ვალუტაში ამერიკის შეერთებული შტატების დოლარისათვის დადგენილი კომერციული კურსიდან გამომდინარე.

რეგისტრაციიდან და ლიცენზირებიდან მიღებული შემოსავალი წარიმართება ეროვნული ბანკის საწესდებო ფონდში.

11. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ:

ა) მოაწესრიგოს საქართველოს რესპუბლიკის დავალიანება რესპუბლიკის ბანკებთან, მათ შორის შინაგანი ვალისა და ფასთა სხვაობის ნაწილში;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად უზრუნველყოს 1991 წლის ბოლომდე რესპუბლიკის საბანკო სისტემის ინფორმატიზაციისა და კომპიუტერიზაციის კომპლექსური პროგრამის დამუშავება კავშირგაბმულობის ყველაზე თანამედროვე არხების გამოყენებით, ამ პროგრამის განხორციელებაში შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ჩართვით;

გ) უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების განხორციელების შესახებ ნორმატიული აქტების დამუშავება საინვესტიციო, საპენსიო და სადაზღვევო ფონდების და სხვა სპეციალიზებული საფინანსო ინსტიტუტებისათვის, რომლებიც აწარმოებენ ცალკეულ საბანკო ოპერაციებს;

დ) გადაისინჯოს და გააუქმოს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების ყველა ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონებს;

ე) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან ერთად 1991 წლის ბოლომდე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში წარმოადგინოს წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო აქტების ამ კანონებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის „საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ", „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" და „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" კანონებთან შესაბამისობაში მოყვანამდე ყველა საკანონმდებლო აქტი მოქმედებს იმ ნაწილში, რომელშიც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 9 აგვისტოს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 9 აგვისტოს 8 საათსა და 30 წუთიდან.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ქვეყანაში ერთიან სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხელისუფლება.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო და სავალუტო რეგულირების ორგანოა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი, რომელიც ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად ახორციელებს ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით.

მუხლი 3. მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების ძირითადი ეკონომიკური მეთოდებია:

ა) ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემი კრედიტების მოცულობის განსაზღვრა;

ბ) ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;

გ) ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების მიერ გადასარიცხი აუცილებელი რეზერვების ნორმების დადგენა;

დ) ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების, აგრეთვე სადისკონტო და სალომბარდო განაკვეთების განსაზღვრა.

მუხლი 4. ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს ყოველწლიურად ადგენს ეროვნული ბანკი რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმებით და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 5. ერთიანი სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

ა) რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზს სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებთან კავშირში;

ბ) მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების ეკონომიკურ დასაბუთებას;

გ) საპროცენტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

დ) ფულად-საკრედიტო რეგულირების ძირითად მეთოდებს.

მუხლი 6. ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უნდა ჰქონდეს ანტიინფლაციური ხასიათი. ხელს უწყობდეს ეკონომიკის შეწონასწორებულ განვითარებასა და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირებას.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დაუწესოს ბანკებს ეკონომიკური ნორმატივები, მოახდინოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების სასესხო და სადეპოზიტო საქმიანობის რეგულირება, შეასრულოს სხვადასხვა ოპერაციები და ქმედებანი, რომლებიც მიზნად ისახავს სახელმწიფო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას.

მუხლი 8. ფულადი მასის მაქსიმალური საზღვრების გამუდმებული გადამეტებისა და ფასების ინფლაციური ზრდის შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება რეგულირება ამ კანონის მე-2 მუხლში გათვალისწინებული ეკონომიკური მეთოდებით, ეროვნულ ბანკს შეუძლია გაატაროს დამატებითი ღონისძიებანი კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებათა შეზღუდვის, მათ აქტიურ-პასიურ ოპერაციებზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისა და მათთვის საკომისიო ანაზღაურების საზღვრების დაწესებით. ეს ზომები შეიძლება გატარდეს დიფერენცირებულად ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

დროებითი ღონისძიებები ტარდება ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების საფუძველზე ან დამოუკიდებლად. ამ შემთხვევაში მათი მოქმედების ვადა შეზღუდულია ერთ თვემდე და მისი გაგრძელება შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ადგენს და არეგულირებს ფულის ერთეულის კურსს სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან.

მუხლი 10. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებლად.

ფულადი თანხები, რომლებიც ირიცხება სარეზერვო ანგარიშებზე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული ბანკების საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისათვის.

მუხლი 11. საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით, უფლება აქვს დააწესოს დაკრედიტებისა და მანეთებსა და უცხოურ ვალუტაზე შეძენილი ობლიგაციების მატების თანხის 100%-მდე სპეციალურ ანგარიშზე დეპონირების ნორმატივი.

მუხლი 12. ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია დააწესოს ბანკებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, საპენსიო ფონდებს, სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში სავალდებულო ინვესტიციების ნორმატივი.

კარი II

კრედიტისა და გარანტიების პირდაპირი რეგულირება

მუხლი 13. საგანგებო შემთხვევებში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით უფლება აქვს დააწესოს ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების დაკრედიტების ოპერაციებისა და გარანტიების მოცულობათა პირდაპირი შეზღუდვები.

მუხლი 14. ეროვნული ბანკის პირდაპირ შეზღუდვებს დაკრედიტებისა და გარანტიების მოცულობებზე ბანკის ტიპის, კრედიტის სახის, დარგისა და რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს შერჩევითი ხასიათი.

მუხლი 15. ცალკეული დარგების დაკრედიტების სტიმულირების მიზნით ეროვნულ ბანკს შეუძლია გასცეს საკრედიტო გარანტიები.

კარი III

საპროცენტო განაკვეთების რეგულირება

მუხლი 16. ეროვნული ბანკი ახორციელებს რესპუბლიკაში ბანკების საპროცენტო განაკვეთების რეგულირებას კომერციული ბანკებისათვის გასაცემ კრედიტებზე განაკვეთების ცვლილებების საშუალებით.

მუხლი 17. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს განაკვეთებს თავის სადისკონტო და სალომბარდო ოპერაციებზე.

მუხლი 18. აკრძალულია საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციის მიზნით ბანკების გაერთიანებათა შექმნა.

კარი IV

რეფინანსირების სისტემა

მუხლი 19. საბანკო სისტემის ლიკვიდურობაზე ზემოქმედების მიზნით ეროვნული ბანკი ახორციელებს ბანკების რეფინანსირებას ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საპროცენტო განაკვეთებით მათთვის მოკლევადიანი კრედიტების გამოყოფის გზით.

მუხლი 20. ეროვნულ ბანკში, ბალანსის მოცულობის მიუხედავად, კრედიტის მიღების უფლება აქვს ყველა ბანკს.

მუხლი 21. ეროვნულ ბანკს შეუძლია მისცეს ბანკებს კრედიტი სამ თვემდე ვადით ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების, უცხოური ვალუტის, ობლიგაციების, თამასუქებისა და ფასიანი ქაღალდების გირაოს (უზრუნველყოფის) ქვეშ.

სხვადასხვა აქტივების გირაოთი გასაცემი კრედიტების პირობებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ეროვნული ბანკი.

კარი V

ფულადი მასის ზრდის მიზნობრივი საზღვრები

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში ყოველწლიურად დაწესდება მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლების ზრდის საზღვრები.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებში თავის საქმიანობას წარმართავს მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის სხვადასხვა მაჩვენებლების დამტკიცებული ზრდის საზღვრების შესაბამისად.

კარი VI

საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების რეგულირება

მუხლი 24. ეროვნულ ბანკს შეუძლია ნორმატიული მოთხოვნები დააწესოს ბანკების საზღვარგარეთის აქტივებისა და პასივების (მთლიანად ან ცალკეულ სახეობებზე) მოცულობის მიმართ, მათი მთლიანობაში შეფარდებისა ან ცალკეული ელემენტების მიხედვით.

კარი VII

სავალუტო პოლიტიკა

მუხლი 25. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უფლებამოსილია მართოს საქართველოს რესპუბლიკის ვალუტისა და ოქროს ფონდი.

მუხლი 26. მოქმედი ფულადი ერთეულის ოფიციალური კურსი უცხოურ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დაწესდება ქვეყნის ეკონომიკისა და საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის გათვალისწინებით.

მუხლი 27. ეროვნული ბანკის გამგეობა მოქმედი ფულადი ერთეულის საბაზრო კურსის რეგულირებას ახდენს საქართველოს რესპუბლიკის სავალუტო ფონდიდან უცხოური ვალუტის ყიდვისა და გაყიდვის საშუალებით.

მუხლი 28. საქართველოს რესპუბლიკაში სავალუტო ოპერაციებზე კონტროლს აწესებს ეროვნული ბანკი.

მუხლი 29. ეროვნული ბანკი ურთიერთობებს ამყარებს სხვა სახელმწიფოების ცენტრალურ ბანკებთან და მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო-ფინანსური ორგანიზაციების მუშაობაში.

კარი VIII

კონტროლი

მუხლი 30. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის შესაბამისად უფლებამოსილია დააწესოს კონტროლი ამ კანონისა და მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

კარი IX

ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან

მუხლი 31. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა ეკონომიკურ კავშირებს დაამყარებს სხვა სახელმწიფოებთან, ეროვნული ბანკი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოები ამ კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს შეასრულებენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ბანკის ცნება

ბანკი წარმოადგენს კომერციულ დაწესებულებას იურიდიული პირის სტატუსით, რომელიც შექმნილია ფულადი სახსრების მოზიდვისა და თავისი სახელით მათი განთავსების მიზნით დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის პირობით.

ბანკები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების ნებისმიერი ფორმით.

მუხლი 2. „ბანკის" დასახელება

ტერმინი „ბანკი" ან სხვა სიტყვათწყობა ამ ტერმინის გამოყენებით შეიძლება ჩართულ იქნეს იურიდიული პირის საფირმო დასახელებაში ან გამოყენებულ იქნეს სარეკლამო მიზნებისათვის მხოლოდ იმ დაწესებულებების მიერ, რომელთაც ამ კანონის საფუძველზე მინიჭებული აქვთ საბანკო ოპერაციების წარმოების უფლება.

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა

საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემა მოიცავს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და მის დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" (ამ კანონის დებულებები გამოიყენება ეროვნული ბანკის მიმართ, როდესაც ამის შესახებ არის პირდაპირი მითითება);

ბ) კომერციულ ბანკებს, რომელთა საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი და მის საფუძველზე გამოცემული საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები;

გ) სხვა საკრედიტო დაწესებულებებს (საქველმოქმედო, სადაზღვევო და საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს).

ერთობლივი* და უცხოეთის** ბანკების, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების საქმიანობას არეგულირებს ეს კანონი, აგრეთვე უცხოეთის ინვესტიციების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები.

მუხლი 4. კომერციული ბანკების სახეობანი

1. კომერციული ბანკები განსხვავდებიან:

ა) საწესდებო კაპიტალის კუთვნილებისა და შექმნის წესის მიხედვით — სააქციო, აქციონერული, ერთობლივი და უცხოეთის ბანკები;

ბ) საქმიანობის არეალის მიხედვით — სპეციალიზებული და უნივერსალური ბანკები;

გ) აგრეთვე დარგობრივი ორიენტაციის მიხედვით.

2. რესპუბლიკური, რეგიონალური თუ სხვა პროგრამების დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესითა და პირობებით შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკები.

3. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ შექმნან კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები მათი ინტერესების დაცვისა და საქმიანობის კოორდინაციისათვის.

4. ბანკებს ეკრძალებათ თავიანთი კავშირები, ასოციაციები და სხვა გაერთიანებები გამოიყენონ ისეთი შეთანხმებების მისაღწევად, რომლებიც მიმართულია საბანკო ოპერაციების ბაზრის მონოპოლიზაციისაკენ საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოების ოდენობის დაწესების საკითხებში, აგრეთვე საბანკო საქმეში კონკურენციის შეზღუდვისაკენ.

ანტიმონოპოლიური წესების დაცვას აკონტროლებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მუხლი 5. კომერციული ბანკის წესდება

1. კომერციული ბანკი ფუნქციონირებს მისი დამფუძნებლის საერთო კრებაზე დამტკიცებული წესდების საფუძველზე.

2. კომერციული ბანკის წესდებაში განსაზღვრული უნდა იყოს:

ა) ბანკის დასახელება და ადგილსამყოფელი (საფოსტო მისამართი);

ბ) ბანკის მიერ შესასრულებელი ოპერაციები;

გ) ბანკის საწესდებო ფონდის მოცულობა და სხვა ფონდები, მათი შექმნის წესი წყაროს მითითებით;

დ) სამართლებრივი მდგომარეობა იმის მითითებით, რომ ბანკი იურიდიულ პირს წარმოადგენს;

ე) დებულება ბანკის მმართველობის ორგანოების, მათი შექმნის, ფუნქციონირებისა და სტრუქტურის, საბანკო საქმიანობის კონტროლის შესახებ;

ვ) ბანკის საქმიანობის შეწყვეტის წესი.

3. კომერციული ბანკის წესდება იქმნება ეროვნული ბანკის რეკომენდაციის საფუძველზე; ამასთან, დასაშვებია მასში გათვალისწინებულ იქნეს სხვა დებულებებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და ასახავს ბანკის საქმიანობის თავისებურებებს.

მუხლი 6. კომერციული ბანკების ოპერაციები

1. კომერციული ბანკები იღებენ და განათავსებენ ფულად ანაბრებს, იზიდავენ და გასცემენ კრედიტებს, კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების დავალებით ახორციელებენ ანგარიშსწორებასა და მათ საკასო მომსახურებას.

კომერციულ ბანკებს შეუძლიათ განახორციელონ სხვა ოპერაციებიც, რომლებიც გათვალისწინებულია მათი წესდებებით და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის:

ა) კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ანგარიშების წარმოება;

ბ) კაპიტალური დაბანდებათა დაფინანსება ინვესტირებადი სახსრების მფლობელის ან მათი განმკარგულებლის დავალებით;

გ) საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების (ჩეკები, აკრედიტივები, თამასუქები, აქციები, ობლიგაციები და სხვა) გამოშვება;

დ) სახელმწიფო საგადასახადო საბუთებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, გაყიდვა და შენახვა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;

ე) მესამე პირის მაგივრად თავდებების, გარანტიებისა და სხვა ვალდებულებათა გაცემა, რომელთა შესრულებაც გათვალისწინებულია ფულად ფორმაში;

ვ) საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევიდან მოთხოვნის უფლების შეძენა; ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე რისკის აღება და ამ მოთხოვნის ინკასაცია (ფაქტორინგი);

ზ) საწარმოებისა და ორგანიზაციების თხოვნით მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ქონების შეძენა და იჯარით გაცემა (ლიზინგი);

თ) ორგანიზაციებისა და მოსახლეობისაგან უცხოური ვალუტის შეძენა და მათთვის მისი მიყიდვა;

ი) საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ ძვირფასი ლითონების, ბუნებრივი ძვირფასი ქვების, აგრეთვე მათგან დამზადებულ ნაკეთობათა შეძენა და გაყიდვა;

კ) ანგარიშებზე და ანაბრებზე ძვირფასი ლითონების მოზიდვა და განთავსება, აგრეთვე ამ ფასეულობებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად;

ლ) კლიენტების დავალებით სამინდობილობო ოპერაციები (სახსრების მოზიდვა და განთავსება, ფასიანი ქაღალდების მართვა და სხვა);

მ) საბანკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა.

ამ მუხლში გათვალისწინებული ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს როგორც ეროვნულ ფულად ერთეულში, ისევე უცხოურ ვალუტაში.

2. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის ლიცენზიების საფუძველზე განახორციელონ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

3. კომერციული ბანკები ვალდებული არიან ეროვნული ბანკის დავალებების საფუძველზე განახორციელონ ბიუჯეტის საკასო შესრულების ოპერაციები.

4. კომერციულ ბანკებს ეკრძალებათ ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც საბანკო საქმიანობის სფეროს სცილდება, აგრეთვე საქმიანობა ყველა სახის დაზღვევის სფეროში.

მუხლი 7. კომერციული ბანკების დამოუკიდებლობა

კომერციული ბანკები სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად ახორციელებენ თავიანთ ოპერატიულ საქმიანობას.

კომერციული ბანკები პასუხს არ აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვალდებულებებზე, ისევე როგორც მთავრობა არ არის პასუხისმგებელი ბანკების ვალდებულებებზე, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც მთავრობა ან ბანკი თავად იღებს ასეთ ვალდებულებას.

კარი 11

კომერციული ბანკების გახსნისა და ლიკვიდაციის წესი

მუხლი 8. კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები)

1. კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. სახელმწიფო ხელისუფლების ყველა დონის ორგანო და მათი აღმასრულებელი ქვედანაყოფები, როგორც წესი, არ შეიძლება იყვნენ კომერციული ბანკის დამფუძნებლები. თითოეული მონაწილის წილი არ უნდა აღემატებოდეს საწესდებო კაპიტალის 35 პროცენტს.

2. უცხოური და ერთობლივი ბანკების შექმნისას ერთ-ერთი უცხოური დამფუძნებელი, როგორც წესი, უნდა იყოს ბანკი.

მუხლი 9. კომერციული ბანკების საქმიანობის ლიცენზირების წესი

კომერციული ბანკები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საბანკო ოპერაციების წარმოებაზე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე.

მუხლი 10. ლიცენზიების მისაღებად აუცილებელი დოკუმენტაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ა) შუამდგომლობა ლიცენზიის მისაღებად;

ბ) დამფუძნებელი საბუთები, დამფუძნებელი ხელშეკრულება, ბანკის წესდება, ოქმი წესდების დამტკიცებისა და ბანკის მმართველობითი ორგანოების დანიშვნის შესახებ;

გ) ეკონომიკური დასაბუთება გაანგარიშებითი ბალანსის, შემოსავალ-გასავლისა და მოგების გეგმის* აუცილებელი დართვით;

დ) დამფუძნებლების საფინანსო მდგომარეობის შესახებ აუდიტორული ორგანიზაციის დასკვნა;

ე) მონაცემები ბანკის ხელმძღვანელების (გამგეობის თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი) პროფესიული შესაბამისობის შესახებ, მათი კეთილი რეპუტაციის და, როგორც წესი, საბანკო მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით;

ვ) დოკუმენტი გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებების შესასრულებლად ვარგისი შენობის არსებობის შესახებ;

ზ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტები.

2. საწესდებო ფონდის მინიმალურ ოდენობას, აგრეთვე მისი განაღდების წესსა და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის სახეობის მიხედვით.

მუხლი 11. ერთობლივი და უცხოეთის ბანკების, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალების მიერ ლიცენზიების მისაღებად აუცილებელი დამატებითი დოკუმენტაცია და პირობები

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების მისაღებად ერთობლივი და უცხოეთის ბანკები, აგრეთვე უცხოეთის ბანკების ფილიალები ამ კანონის მე-10 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა წარმოადგენენ დადგენილი წესით ლეგალიზებულ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) უცხოური იურიდიული პირები:

უცხოური დამფუძნებლების (მონაწილეების) შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბანკის შექმნაში ან ფილიალის გახსნაში მათი მონაწილეობის შესახებ;

იმ ქვეყნის საკონტროლო ორგანოს წერილობით თანხმობას, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს უცხოური დამფუძნებელი (მონაწილე), საქართველოს ტერიტორიაზე ერთობლივი ბანკის შექმნაში მონაწილეობის მიღების, ან ფილიალის გახსნის თაობაზე, თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით.

ბ) უცხოელი მოქალაქეები:

უცხოეთის პირველი კლასის ბანკის დამოწმებას პიროვნების გადახდისუნარიანობის შესახებ;

რეკომენდაციებს არანაკლებ ორი უცხოური ცნობილი გადახდისუნარიანი იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან.

2. ყველა კომერციული ბანკისათვის თანაბარი საკონკურენტო პირობების უზრუნველსაყოფად რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს შეუძლია უცხოეთისა და ერთობლივი ბანკების დამფუძნებლებს წაუყენოს დამატებითი მოთხოვნები მათი საწესდებო კაპიტალის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის ნაწილში.

(დასასრული მე-2 გვ.)

---

* უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი ბანკები;

** ბანკები, რომელთა საწესდებო ფონდები მთლიანად უცხოური კაპიტალით არის შექმნილი

* მონაცემები კეთდება ეკონომიკურად დასაბუთებული პროგნოზის სახით.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ

(დასასრული)

მუხლი 12. შუამდგომლობის განხილვის ვადები და ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობა

1. შუამდგომლობებს, ლიცენზიების გაცემის თაობაზე რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განიხილავს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტის წარმოდგენის დღიდან. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი დამფუძნებლებს მათივე მოთხოვნით უხდის ჯარიმას დაგვიანების თითოეულ დღეზე განაღდებული საწესდებო ფონდის 0,01 პროცენტის ოდენობით.

2. შუამდგომლობა განხილულად ითვლება კომერციული ბანკის დამფუძნებლებისათვის შესაბამისი გადაწყვეტილების გაგზავნის დღიდან.

მუხლი 13. ლიცენზიების გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

რესპუბლიკის ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საბანკო ოპერაციების წარმოების ლიცენზიების გაცემაზე ამ მუხლში ჩამოთვლილ ნებისმიერ საფუძველზე:

ა) დამფუძნებელი ხელშეკრულებისა და წესდების შეუსაბამობა საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედ კანონმდებლობასთან;

ბ) დამფუძნებლების არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საწესდებო ფონდის დადგენილ ვადეში განაღდებას და საფრთხეს უქმნის ბანკის მეანაბრეებისა და კრედიტორების ინტერესებს;

გ) კომერციული ბანკის ხელმძღვანელების (თავმჯდომარე და მთავარი ბუღალტერი) პროფესიული შეუსაბამობა (ეროვნული ბანკის დასკვნით);

დ) გაცემული ლიცენზიების ფარგლებში საწესდებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო სამსახურებრივი შენობის არარსებობა;

ე) რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 14. კომერციული ბანკების რეგისტრაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემასთან ერთად საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი ახდენს კომერციული ბანკის რეგისტრაციას და აცნობებს მას სარეგისტრაციო ნომერს.

2. კომერციულ ბანკს რეგისტრაციის მომენტიდან ენიჭება იურიდიული პირის სტატუსი.

მუხლი 15. კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნის წესი

1. ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ გახსნან თავიანთი ფილიალები და წარმომადგენლობები საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ეროვნული ბანკის თანხმობითა და რეგისტრაციით.

2. კომერციული ბანკების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ხდება შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 16. ლიცენზიების გამოთხოვის საფუძველი

1. ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოითხოვოს საბანკო ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიები შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ აღმოჩნდა, რომ ლიცენზია გაცემულია არასწორი მონაცემების საფუძველზე;

ბ) თუ ბანკის საქმიანობის დაწყება შეფერხდა ლიცენზიის გაცემიდან ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში;

გ) თუ დაწესებულ ვადებში არ შესრულდა საწესდებო ფონდის დადგენილი თანხის განაღდების ვალდებულება;

დ) თუ გამოვლინდა ამ კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ოპერაციების წარმოების ან წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტები;

ე) თუ გამოვლინდა ანტიმონოპოლიური კანონის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტები.

ლიცენზიის გამოთხოვა შეიძლება მოხდეს აგრეთვე „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ყველა ლიცენზიის გამოთხოვა მოქმედებს როგორც გადაწყვეტილება ბანკის ლიკვიდაციის შესახებ.

ლიცენზიის გამოთხოვა წარმოადგენს უკიდურეს ზომას, რომელსაც როგორც წესი, წინ უნდა უძღოდეს გამოვლენილ დარღვევათა აღმოსაფხვრელად გამაფრთხილებელი ზომების გატარება.

მუხლი 17. ეროვნული ბანკისათვის კომერციული ბანკების დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შეტყობინების აუცილებლობა

კომერციული ბანკები ვალდებული არიან ერთი თვის განმავლობაში აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დამფუძნებელ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებების შესახებ. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს ამ დოკუმენტების სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული ასლები. თუ აღნიშნული ცვლილებები იძლევა ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს, მაშინ შეიძლება ლიცენზიის გამოთხოვა ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 18. კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა

კომერციული ბანკების საქმიანობის შეწყვეტა ხდება ამ კანონით და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე რესპუბლიკაში მოქმედი სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

მუხლი 19. დავის გადაწყვეტისა და გასაჩივრების წესი

კომერციულ ბანკებსა და მათ დამფუძნებლებს შეუძლიათ გაასაჩივრონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებისა და საკონტროლო ფუნქციების შესრულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები სასამართლოში ან არბიტრაჟში.

კარი III

ბანკის ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა

მუხლი 20. კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკური ნორმატივების დაცვა

ბანკების ფინანსური სიმტკიცისა და კლიენტების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ეროვნული ბანკის მიერ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივები, აგრეთვე შექმნან სადაზღვევო და სარეზერვო ფონდები.

მუხლი 21. საბანკო საიდუმლოება

1. ბანკები იძლევიან თავიანთი კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტთა ოპერაციების, ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ საიდუმლოების შენახვის გარანტიას. ბანკის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია შეინახოს საიდუმლოება კლიენტებისა და ბანკ-კორესპონდენტების ოპერაციების ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ.

2. ცნობები იურიდიული პირების ოპერაციებისა და ანგარიშების შესახებ შეიძლება მიეცეთ თვით იურიდიულ პირებს, მათ ზემდგომ ორგანოებს, სასამართლო, საგამოძიებო და საარბიტრაჟო ორგანოებს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკსა და აუდიტორულ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციებს დაბეგვრის საკითხებზე.

3. ცნობები მოქალაქეთა პირადი ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ თვით კლიენტებისა და მათი წარმომადგენლების გარდა მიეცემათ სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს მათ წარმოებაში არსებულ საქმეებზე იმ შემთხვევებში, როდესაც კლიენტების ანგარიშებსა და ანაბრებზე არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე შეიძლება დადებულ იქნეს ყადაღა, მიქცეულ იქნეს გადასახდევინებლად ან გამოყენებულ იქნეს ქონების კონფისკაცია.

4. ცნობები ანგარიშებისა და ანაბრების შესახებ მათი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში გაიცემა იმ პირებზე, რომლებიც მითითებული არიან ბანკში გაცხადებულ სანდერძო განკარგულებაში, აგრეთვე სახელმწიფო სანოტარო კანტორებს მოთხოვნით მათ წარმოებაში არსებული გარდაცვლილი მეანაბრეების სამემკვიდრეო საქმეებზე და უცხოეთის საკონსულო დაწესებულებებზე.

მუხლი 22. ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება და გადახდევინებლად მიქცევა

1. იურიდიული და ფიზიკური პირების, უცხოეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და სხვა ფასეულობებზე ყადაღის დადება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგამოძიებო და არბიტრაჟის ორგანოების დადგენილებებით, ხოლო გადახდევინება — მხოლოდ სასამართლოს მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლით, სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებით და სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით, აგრეთვე სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნით.

2. მოქალაქეთა ბანკში არსებულ ფულად სახსრებსა და ფასეულობებზე ყადაღის დადება ან სახსრების გადახდევინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით ან გადაწყვეტილებით.

მოქალაქეთა ფულადი სახსრებისა და ფასეულობების კონფისკაცია შეიძლება მოხდეს ძალაში შესული განაჩენის ან ქონების კონფისკაციის შესახებ კანონის შესაბამისად გამოტანილი დადგენილების თანახმად.

კარი IV

ბანკებს შორის ურთიერთობა და კომერციული ბანკების მიერ კლიენტების მომსახურება

მუხლი 23. ბანკთაშორისი დეპოზიტები, საკრედიტო და სხვა ოპერაციები

1. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ სახელშეკრულებო საფუძველზე მოიზიდონ და ერთმანეთთან განათავსონ თანხები დეპოზიტების ან კრედიტების სახით, აგრეთვე აწარმოონ ერთმანეთთან სხვა მათი წესდებებით გათვალისწინებული ოპერაციები.

2. კლიენტურის დაკრედიტების და აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის თანხების უკმარისობის შემთხვევაში კომერციულ ბანკებს კრედიტის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ ეროვნულ ბანკს. აღნიშნული ოპერაციების შესრულების წესებსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მუხლი 24. კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთები

კომერციული ბანკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საპროცენტო განაკვეთებსა და საკომისიო გასამრჯელოს ოდენობას „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის დებულების გათვალისწინებით.

მუხლი 25. ბანკებისა და კლიენტების ურთიერთობის სახელშეკრულებო ხასიათი

1. ბანკებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა სახელშეკრულებო ხასიათს ატარებს.

2. კლიენტები დამოუკიდებლად ირჩევენ ბანკებს საკრედიტო-საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისათვის და შეუძლიათ ისარგებლონ ყველა სახის საბანკო მომსახურებით როგორც ერთ, ისე რამდენიმე ბანკში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

მუხლი 26. ანგარიშსწორების ფორმები

ბანკები ანგარიშსწორებას ახორციელებენ რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესებით. თუ ანგარიშსწორების რომელიმე ფორმა არ არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო პრაქტიკით.

მუხლი 27. კრედიტების დაბრუნებადობის უზრუნველყოფა

1. კრედიტების თავისდროულად დაბრუნებადობის უზრუნველყოფის სახით ბანკები იღებენ გირაოს, გარანტიებს, მინდობილობებს, აგრეთვე ვალდებულებებს საბანკო პრაქტიკაში მიღებული სხვა ფორმებით.

2. ბანკებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება უზრუნველყოფის გარეშე კრედიტების გაცემაზე (საბანკო კრედიტი).

მუხლი 28. მსესხებლის გამოცხადება გადახდისუუნაროდ

1. მსესხებელი, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა კრედიტის დაბრუნების ვალდებულება, შეიძლება ბანკის მიერ გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ.

2. მსესხებლის გადახდისუუნაროდ გამოცხადების შესახებ ბანკები აცნობებენ მის ძირითად კრედიტორებს, ზემდგომ ორგანოს, სადაც მოხდა მსესხებლის, როგორც იურიდიული პირის, რეგისტრაცია, აგრეთვე დამფუძნებლებს (მონაწილეებს).

მუხლი 29. ზომები გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ

1. გადახდისუუნაროდ გამოცხადებული მსესხებლის მიმართ ბანკის წინადადებით შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

ა) ოპერატიული მმართველობის გადაცემა ბანკი-კრედიტორის მონაწილეობით დროებით დანიშნული ადმინისტრაციისათვის;

ბ) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

2. ბანკის მიერ შეთავაზებულ ზომებს, გამომდინარე მსესხებლის სამართლებრივი სტატუსიდან, ახორციელებს მისი ზემდგომი ორგანიზაცია, ორგანო, რომელმაც მოახდინა იურიდიული პირის რეგისტრაცია, ან დამფუძნებლები (მონაწილეები).

კარი V

საშემნახველო საქმე

მუხლი 30. მოსახლეობის ანაბრები

1. მოსახლეობის ანაბრების მიღების უფლება აქვს ყველა კომერციულ ბანკს.

2. ბანკები დამოუკიდებლად აწესებენ მოსახლეობისაგან ანაბრების მიღების ოპერაციების წარმოების პირობებს.

3. შემოსავლები ანაბრებზე დაბეგვრას არ ექვემდებარება.

4. ბანკები ანაბრებზე ფულის მიღებას აწარმოებენ სათანადო საანაბრო დოკუმენტის გაცემით.

მუხლი 31. ბანკების ვალდებულებები ანაბრების მიღებასთან დაკავშირებით

კომერციულმა ბანკებმა, რომლებიც მოიზიდავენ მოსახლეობის ანაბრებს, ისე უნდა გამოიყენონ მოზიდული სახსრები, რომ უზრუნველყონ სახსრების დაცულობა და მეანაბრის წინაშე ვალდებულებების თავისდროული შესრულება.

ამ მიზნით კომერციული ბანკები ვალდებული არიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით შექმნან ანაბრების დაზღვევის ბანკთაშორისი ფონდები.

მუხლი 32. მეანაბრეები

1. მეანაბრეები შეიძლება იყვნენ რესპუბლიკის მოქალაქეები, უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

2. მეანაბრეებს შეუძლიათ განკარგონ თავიანთი ანაბრები, მიიღონ შემოსავალი ანაბრებზე პროცენტების სახით ან ბანკის მიერ შემოთავაზებული სხვა ფორმით, მოახდინონ უნაღდო ანგარიშსწორებები.

3. მეანაბრეს შეუძლია მისცეს ბანკს განკარგულება თავისი სიკვდილის შემთხვევაში გადასცეს ანაბარი ნებისმიერ პიროვნებას, სახელმწიფოს ან სხვა იურიდიულ პირს. ანაბარს, რომელზეც არ არის გაკეთებული რაიმე განკარგულება, მეანაბრის სიკვდილის შემთხვევაში ბანკები გასცემენ მემკვიდრეებზე რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4. კომერციული ბანკები ვალდებული არიან დაიცვან ანაბრებზე არასრულწლოვანთა უფლებები რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კარი VI

აღრიცხვა-ანგარიშგება კომერციულ ბანკებში და მათი საქმიანობისადმი კონტროლი

მუხლი 33. აღრიცხვა-ანგარიშგება კომერციულ ბანკებში

ბუღალტრული აღრიცხვის წესებს კომერციული ბანკებისათვის, მათ მიერ ეროვნულ ბანკში წარსადგენი საანგარიშგებო და სხვა მასალების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას აწესებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

მუხლი 34. წლიური ბალანსებისა და მოგება-ზარალის ანგარიშების გამოქვეყნება

კომერციული ბანკები აქვეყნებენ წლიურ ბალანსებსა და მოგება-ზარალის ანგარიშებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ფორმითა და დაწესებულ ვადებში მას შემდეგ, რაც მათში მოყვანილი მონაცემების უტყუარობა დადასტურებული იქნება აუდიტორიული ორგანიზაციის მიერ.

მუხლი 35. კომერციული ბანკების კონტროლი

კომერციული ბანკების საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ" კანონის შესაბამისად.

მუხლი 36. აუდიტორული შემოწმებები

კომერციული ბანკების საქმიანობას ამოწმებენ აგრეთვე შემოწმებების ჩატარების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი რწმუნებებით აღჭურვილი აუდიტორული ორგანიზაციები.

კარი VII

კანონის გამოყენების თავისებურებანი

მუხლი 37. კანონის გამოყენების თავისებურებანი

1. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ იმ ბანკებზე, რომლებიც შექმნილია რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. 21-ე და 22-ე მუხლების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი

1. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი (შემდგომში ეროვნული ბანკი) არის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი და მის საკუთრებას წარმოადგენს.

2. ეროვნული ბანკი იქმნება ამ კანონის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

3. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანებია: ეროვნული ფულის ერთეულის სიმტკიცის უზრუნველყოფა, დაკრედიტების, ანგარიშსწორების, ფულის მიმოქცევისა და სავალუტო ურთიერთობათა სფეროში სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარება; კრედიტორებისა და მეანაბრეთა ინტერესების დაცვა კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირების წესების განსაზღვრით და მათ შესრულებაზე კონტროლი; საქართველოს რესპუბლიკის ერთიანი ბაზრის შექმნა და მისი მსოფლიოს ეკონომიკაში ინტეგრირებისათვის ხელშეწყობა.

4. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყოველგვარ ხარჯებს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე, არც საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბანკი ან მთავრობა თავად იღებენ თავის თავზე ასეთ ვალდებულებებს.

5. ეროვნული ბანკი იცავს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან, საერთაშორისო ბანკებთან და სხვა საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებთან, სადაც სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობა ხორციელდება ქვეყნის ცენტრალური ბანკების დონეზე.

6. ეროვნულ ბანკს აქვს უფლება გაწევრიანდეს სხვა ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან საერთაშორისო კავშირებში.

7. ეროვნული ბანკი საქართველოში არსებული ყველა ბანკისათვის გამოსცემს სავალდებულო ნორმატიულ აქტებსა და სხვა მითითებებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების გარშემო.

8. ეროვნული ბანკი თავის საქმიანობაში საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებულ წესებსა და ჩვევებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებითა და საკუთარი წესდებით.

9. ეროვნული ბანკი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომლის წესდებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

10. ეროვნულ ბანკს და მის დაწესებულებებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბით და თავისი სახელწოდებით.

11. ეროვნული ბანკის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

მუხლი 2. ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან

1. ეროვნული ბანკი თავისი ფუნქციების შესრულებისათვის ამ კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში მონაწილეობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს უფლება აქვს სათათბირო ხმით მონაწილეობდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სხდომების მუშაობაში.

2. ეროვნული ბანკი კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს არა აქვთ უფლება ჩაერიონ მის საქმიანობაში.

ბანკის საქმიანობაში არაკანონიერი ჩარევის შემთხვევაში მას აქვს უფლება გაასაჩივროს ეს ქმედებანი საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია ორი კვირით შეაჩეროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საკითხის გარკვევამდე ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ეროვნული ბანკი ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ ერთმანეთს გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების თაობაზე და ისწრაფოდნენ კოორდინირებული მოქმედებისაკენ.

5. ეროვნულ ბანკს ეკრძალება სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება და პირველადი განთავსებით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისათვის (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსათვის) კრედიტების გამოყოფა.

6. საგანგებო შემთხვევაში ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნებართვით შეუძლია გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს) კრედიტი.

7. ეროვნული ბანკი უსასყიდლოდ უწევს საბანკო მომსახურებას საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას (საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს); აგრეთვე ახორციელებს რესპუბლიკური ბიუჯეტის საკასო შესრულებას და ატარებს საანგარიშსწორებო და სხვა ოპერაციებს. სახელმწიფოს სახსრები ინახება ეროვნული ბანკის უპროცენტო ანგარიშებზე.

8. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით უსასყიდლოდ ახორციელებს სახელმწიფოს შინაგანი და საგარეო ვალის მართვას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსების, პროცენტების გაცემის, რეფინანსირებისა და სესხების დაფარვის ოპერაციების წარმოებასთან.

9. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი სახელმწიფო ვალის მართვის საკითხებში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ".

10. ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დავალებით და საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მართავს საქართველოს რესპუბლიკის ვალუტას და ოქროს რეზერვებს.

11. ეროვნული ბანკი და მისი დაწესებულებები თავისუფლდებიან ყველა სახის სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების, გამოსაღებების და სახელმწიფო ბაჟის (საგერბოს და საბაჟოს ჩათვლით) გადასახადებისაგან.

12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში შესატანი ფულად-საკრედიტო რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტები ექვემდებარება ეროვნულ ბანკთან წინასწარ შეთანხმებას.

მუხლი 3. ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციები

ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ფულის ემისია და ფულის მიმოქცევის ორგანიზება;

ბ) ეროვნული ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება;

გ) კომერციული ბანკების დაკრედიტება, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი;

დ) კომერციულ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს* შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია, ლიცენზიების გაცემა;

ე) რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის მომსახურება;

ვ) რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტთან ოპერაციების წარმოება;

ზ) ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების წარმოება;

თ) რესპუბლიკის სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვა;

ი) კომერციული ბანკებისათვის საბანკო ოპერაციებისა და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოება;

კ) კომერციული ბანკების საქმიანობის კონტროლი;

ლ) საინფორმაციო სისტემისა და საბანკო სტატისტიკის ორგანიზაცია.

მუხლი 4. ეროვნული ბანკის საწესდებო კაპიტალი და ფონდები

1. ეროვნულ ბანკს აქვს საწესდებო ფონდი, რომელიც ემსახურება მისი ვალდებულებების უზრუნველყოფას. ეროვნული ბანკის წესდებით განისაზღვრება საწესდებო ფონდის ოდენობა, მისი შექმნის წესი და წყაროები.

2. ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ქმნის სადაზღვევო და სარეზერვო ფონდებს ბანკების ანარიცხების ხარჯზე.

3. ეროვნულ ბანკს შეუძლია შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ფონდები, რომელთა შექმნისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება.

მუხლი 5. ეროვნული ბანკის მოგება და მისი განაწილება

1. ეროვნული ბანკის მოგება იქმნება თავისი საქმიანობიდან მიღებული ყველა შემოსავლისაგან და ნაწილდება ეროვნული ბანკის წესდების შესაბამისად.

2. ეროვნულ ბანკსა და მის დაწესებულებებს არა აქვთ უფლება იყვნენ კომერციული ბანკების ან სხვა დაწესებულებების აქციონერები გარდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაშვებული და ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

მუხლი 6. ეროვნული ბანკის ანგარიშგება

1. ეროვნული ბანკის საქმიანობის საანგარიშგებო პერიოდია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ეროვნული ბანკი ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 აპრილისა განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს ანგარიშგებას 1 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. ანგარიშგება უნდა შეიცავდეს რესპუბლიკის საბანკო სისტემის, ფულის მიმოქცევისა, და ფინანსების, საგადასახადო ბალანსისა და სავალუტო მდგომარეობის, აგრეთვე ეროვნული ბანკის ოპერაციების ანალიზს, წლიურ ბალანსსა და მოგება-ზარალის ანგარიშს.

წლიური ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში დადასტურებული უნდა იყოს აუდიტორული ორგანიზაციის მიერ.

3. ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად აქვეყნებს პრესაში თავის ბალანსსა და მონაცემებს ფულის მიმოქცევის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე წლიურ ბალანსს უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ.

4. ეროვნული ბანკი ყოველკვარტალურად გამოსცემს თავისი საქმიანობის და რესპუბლიკის საბანკო სისტემის ფუნქციონირების შედეგების ამსახველ ბიულეტენს.

კარი II

ეროვნული ბანკის სამეისიო უფლება და ფულის მიმოქცევის ორგანიზაცია

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის ფულის ერთეული

საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური ფულის ერთეულია ეროვნული ფულის ნიშანი, რომლის დასახელება, სახე, შემადგენლობა, უზრუნველყოფა, სხვა აუცილებელი ნიშნები და დებულებები განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულადი სისტემის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით.

მუხლი 8. ფულის ემისია

1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს რესპუბლიკის საემისიო ცენტრს და მხოლოდ მას აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ფულის ნიშნების მიმოქცევაში გამოშვებისა და მიმოქცევიდან ამოღების უფლება.

2. ფულის უნაღდო ემისია ხორციელდება სადეპოზიტო-სასესხო ოპერაციების პროცესში.

3. ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო ბერკეტების მეშვეობით ახდენს ნაღდი და უნაღდო ემისიის რეგულირებას.

4. ფულის ემისიის გამოყენება უშუალოდ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად აკრძალულია.

მუხლი 9. ფულის ნიშნების მიმოქცევის ორგანიზაცია

ეროვნული ბანკი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) ახდენს ბანკნოტებისა და მონეტების დამზადების ორგანიზებას;

ბ) ადგენს ბანკებში ნაღდი ფულის გადაზიდვის, შენახვისა და ინკასაციის წესს;

გ) ადგენს ბანკნოტებისა და მონეტების სარეზერვო ფონდების შექმნის წესს;

დ) ადგენს ფულადი ნიშნების ვარგისიანობის განსაზღვრის, აგრეთვე დაზიანებული ბანკნოტებისა და მონეტების გამოცვლისა და განადგურების წესს.

კარი III

ფულად-საკრედიტო რეგულირება

მუხლი 10. ფულად-საკრედიტო რეგულირება

ეროვნული ბანკი „საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად ახორციელებს რესპუბლიკაში ფულის მიმოქცევის მართვას მიმოქცევაში ერთობლივი ფულადი მასის მოცულობისა და სტრუქტურის ცვლილებების გზით.

კარი IV

ეროვნული ბანკის ოპერაციები

მუხლი 11. ოპერაციები ბანკებთან

ეროვნულ ბანკს აქვს უფლება:

ა) კომერციულ ბანკებს მისცეს კრედიტები მსესხებლებთან შეთანხმებულ ვადებში;

ბ) შეიძინოს, გაყიდოს და აწარმოოს სხვა გარიგებები თამასუქებითა და ჩეკებით, რომელთაც აქვთ მათზე ვალდებული ცნობილი გადახდისუნარიანი სამი პირის ხელმოწერა და გადახდის ვადით არაუგვიანეს სამი თვისა შეძენის თარიღიდან;

გ) შეიძინოს, შეინახოს და გაყიდოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

დ) გასცეს კრედიტები სამ თვემდე ვადით ამ მუხლის ბ და გ პუნქტებში მითითებული ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ, ამასთან, არა უმეტეს მათი საერთო თანხის 90 პროცენტისა.

ე) შეიძინოს და გაყიდოს უცხოური ვალუტა და ბანკების მიერ წაყენებული საგადასახადო საბუთები უცხოურ ვალუტაში;

ვ) შეიძინოს და გაყიდოს ოქრო, სხვა ძვირფასი ლითონები.

მუხლი 12. ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე

ფულის მიმოქცევის რეგულირების მიზნით ეროვნულ ბანკს შეუძლია შეიძინოს და გაყიდოს საბაზრო ფასებში თამასუქები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონის მე-11 მუხლის ბ პუნქტის მოთხოვნებს, აგრეთვე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

მუხლი 13. ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაცია

ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციულ ბანკებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზაციას საკორესპონდენტო ანგარიშების მეშვეობით ან სხვა კომერციული ბანკებისათვის მიზანშეწონილი ფორმით.

მუხლი 14. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ეროვნული ბანკი რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ უფლებამოსილია აწარმოოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში მიღებული ყველა ოპერაცია უცხოურ ვალუტაში.

მუხლი 15. სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვების მართვა

ეროვნული ბანკი მართავს სავალუტო და ძვირფასი ლითონების რეზერვებს, რომლებიც ეროვნული ბანკის ბალანსზეა და ემსახურება ეროვნული ბანკის ვალდებულებების უზრუნველყოფას.

ამ რეზერვების განთავსებისა და შენახვის ოპერაციებს ეროვნული ბანკი აწარმოებს დამოუკიდებლად, ან შესაბამისი რწმუნებით აღჭურვილი ბანკებისა და ორგანიზაციების მეშვეობით.

კარი V

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა

მუხლი 16. ეროვნული ბანკის კომერციულ ბანკებთან ურთიერთობის პრინციპები

ეროვნული ბანკი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს კომერციული ბანკების ნორმალურ ფუნქციონირებას და მათ შორის კონკურენციისათვის თანაბარი პირობების შექმნას.

ეროვნული ბანკი არ ერევა კომერციული ბანკების ოპერატიულ საქმიანობაში. რაც შეეხება ეროვნული ბანკის მარეგულირებელ და საკონტროლო ფუნქციებს, ისინი შეზღუდულნი არიან ამ კანონით და იცავენ ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობას და კრედიტორებისა და მეანაბრეთა ინტერესებს.

მუხლი 17. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიების გაცემა და მათი რეგისტრაცია

1. საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ლიცენზიებს გასცემს ეროვნული ბანკი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკი აწარმოებს კომერციული ბანკების რეგისტრაციის საერთო რესპუბლიკურ რეესტრს.

მუხლი 18. უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე ლიცენზიების გაცემა

ეროვნული ბანკი აძლევს ლიცენზიებს კომერციულ ბანკებს საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოებაზე მის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 19. სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის წესების დადგენა

ეროვნული ბანკი განსაზღვრავს კომერციული ბანკების მოგებიდან მოსალოდნელი ზარალის ასანაზღაურებლად გამიზნული სადაზღვევო და სარეზერვო ფონდების შექმნის საერთო წესს.

მუხლი 20. კომერციული ბანკებისათვის ეკონომიკური ნორმატივების დაწესება

ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის წესდება შემდეგი ეკონომიკური ნორმატივები:

ა) საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

ბ) ბანკის საკუთარი სახსრებისა და მისი აქტივების ზღვრული თანაფარდობა;

გ) ბალანსის ლიკვიდობის მაჩვენებლები;

დ) ეროვნულ ბანკში მოსათავსებელი აუცილებელი რეზერვების ოდენობა;

ე) ერთ მსესხებელზე რისკის მაქსიმალური ოდენობა;

ვ) მოსახლეობიდან მოზიდული ანაბრების საკუთარ სახსრებთან ზღვრული თანაფარდობა (გარდა შემნახველი ბანკებისა).

მუხლი 21. ეროვნული ბანკის საკონტროლო ფუნქციები

ეროვნული ბანკი აკონტროლებს კომერციული ბანკების მიერ საბანკო კანონმდებლობის დაცვას.

ამ მიზნით კომერციული ბანკების შემოწმებას აწარმოებს ეროვნული ბანკი ან მისი დავალებით აუდიტორული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს შესაბამისი რწმუნებანი.

მუხლი 22. ეროვნული ბანკის უფლებამოსილებანი საბანკო კანონმდებლობის დარღვევების აღმოსაფხვრელად

1. საბანკო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტების აღმოჩენისას ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს აუცილებელ მითითებებს აძლევს გამოვლენილი დარღვევების განსაზღვრულ ვადებში აღმოსაფხვრელად.

2. თუ კომერციული ბანკი სისტემატურად არღვევს ეკონომიკურ ნორმატივებს, არ ასრულებს ეროვნული ბანკის მიწერილობებს დარღვევების აღმოფხვრის ვადებისა და პირობების შესახებ, არ წარმოადგენს ან წარმოადგენს არაზუსტ ანგარიშგებას, ფუნქციონირებს ზარალიანად, ან რეალური საშიშროება ექმნება ბანკის მეანაბრეებისა და კრედიტორების ინტერესებს, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია:

ა) დააყენოს საკითხი კომერციული ბანკის დამფუძნებლების (მონაწილეთა) წინაშე ბანკის ფინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების (საკუთარი სახსრების ზრდა, აქტივების სტრუქტურის შეცვლა და სხვა), ბანკის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ბ) მიუყენოს შემდეგი სანქციები:

გადაახდევინოს ფულადი ჯარიმა ბანკის არასწორი ქმედებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლის ოდენობით;

გაუზარდოს აუცილებელი რეზერვების ნორმა;

გამოაცხადოს გაკოტრებულად კომერციული ბანკი „გაკოტრების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად;

გააუქმოს ლიცენზიები საბანკო ოპერაციების წარმოებაზე.

მუხლი 23. ანტიმონოპოლიური უფლებამოსილებანი

ეროვნული ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს (აკრძალოს) საბანკო საქმიანობის კონკურენციის შეზღუდვის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკომისიო გასამრჯელოს ფიქსაციისაკენ მიმართული საბანკო კავშირებისა და გაერთიანებების ნებისმიერი ქმედება.

მუხლი 24. სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი

ეროვნული ბანკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი შეიძლება გასაჩივრდეს კომერციული ბანკების ან მათი დამფუძნებლების მიერ სასამართლოში ან სახელმწიფო არბიტრაჟში.

კარი VI

აღრიცხვა და ანგარიშგება ბანკებში

მუხლი 25. აღრიცხვის წესები ბანკებში

ეროვნული ბანკი ადგენს ყველა ბანკისათვის ბუღალტრული აღრიცხვის წესებს.

მუხლი 26. კომერციული ბანკებისათვის ანგარიშგების დადგენა

ეროვნული ბანკი განუსაზღვრავს კომერციულ ბანკებს საანგარიშგებო და სხვა საინფორმაციო მასალების მოცულობასა და ფორმებს.

(დასასრული მე-3 გვ.)

---

* შემდგომში კომერციული ბანკებისა და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ნაცვლად შემოკლების მიზნით ნახმარი იქნება კომერციული ბანკები.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი
საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ

(დასასრული)

კარი VII

ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა უფლებების რეგლამენტირება

მუხლი 27. ეროვნული ბანკის მოსამსახურეთა უფლებების რეგლამენტირება

ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს არა აქვთ უფლება იმუშაონ შეთავსებით და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მიიღონ ფულადი ანაზღაურება ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებიდან (გარდა ჰონორარებისა და სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობისა), გახდნენ კომერციული ბანკების მეპაიეები (მონაწილეები) ან მიიღონ რაიმე ფორმით მონაწილეობა მათ მართვაში.

ეროვნული ბანკის მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ სესხი მხოლოდ ეროვნულ ბანკში.

კარი VIII

ეროვნული ბანკის მართვა

მუხლი 28. ეროვნული ბანკის სტრუქტურა

1. ეროვნული ბანკი წარმოადგენს ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას, რომელიც შედგება ცენტრალური აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან.

2. ეროვნულ ბანკს საქართველოს რესპუბლიკის ავტონომიურ რესპუბლიკებში აქვს დაქვემდებარებული დაწესებულებები ამ რესპუბლიკების ცენტრალური ბანკების სტატუსით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ეროვნული ბანკისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბების, დახურვისა (გაუქმების) და ფუნქციონირების წესებს.

მუხლი 29. ეროვნული ბანკის მმართველობა

1. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ახორციელებენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეროვნული ბანკის გამგეობა.

2. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით.

ეროვნული ბანკის გამგეობის პერსონალურ შემადგენლობას ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინადადებით ნიშნავს (5 წლით) და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან იქმნება მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობას პერსონალურად ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

მრჩეველთა საბჭოს ამოცანაა სისტემატურად გააანალიზოს ფულადსაკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიმდინარეობა რესპუბლიკაში და შეიმუშაოს რეკომენდაციები, რომლებსაც, როგორც წესი, ითვალისწინებს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა.

4. ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალური ბანკის სტატუსის მქონე ეროვნული ბანკის დაწესებულებების ხელმძღვანელებს ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის გამგეობა ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წარდგენით.

5. ეროვნული ბანკის პრეზიდენტისა და გამგეობის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, აგრეთვე გამგეობის მუშაობის რეგლამენტს განსაზღვრავს ეროვნული ბანკის წესდება ამ კანონის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 2 აგვისტო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საკუთრების საფუძვლების შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საკუთრების შესახებ

ეს კანონი ადგენს საკუთრების შესახებ ძირითად დებულებებს და პრინციპებს საქართველოს რესპუბლიკაში.

საკუთრებითი ურთიერთობები, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით და ამ კანონის საფუძველზე გამოცემული საკანონმდებლო აქტებით.

ეროვნულ, კულტურულ, ისტორიულ ძეგლებსა და ფასეულობებზე, აგრეთვე ინტელექტუალურ საკუთრებაზე საკუთრების უფლების განხორციელების თავისებურებანი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სპეციალური კანონმდებლობით.

მუხლი 2. საკუთრების ფორმები საქართველოს რესპუბლიკაში

საქართველოს რესპუბლიკაში არსებობს საკუთრების შემდეგი ფორმები:

ა) კერძო
ბ) კოლექტიური
გ) სახელმწიფო

საკუთრების სამივე ფორმა კანონით თანასწორია.

მუხლი. 3. საკუთრების უფლება

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლებას აღიარებს და იცავს კანონი.

ნებისმიერ მესაკუთრეს აქვს კანონით დადგენილ ფარგლებში საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების უფლების წარმოშობა და შეწყვეტა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესისა და პირობების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკაში გარანტირებულია საკუთრებით ურთიერთობათა სტაბილურობა და უზრუნველყოფილია მათი განვითარებისა და დაცვის პირობები.

მუხლი 4. საკუთრების უფლების განხორციელება

საკუთრების უფლების განხორციელებისას სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიერ არ დაიშვება რაიმე შეზღუდვის ან უპირატესობის დადგენა საკუთრების რომელიმე ფორმის მიმართ.

მესაკუთრის (ვინც არ უნდა იყოს იგი) მიერ საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა შელახოს სახელმწიფოს ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უფლებები და კანონით დაცული მათი ინტერესები.

მესაკუთრე საკუთრების უფლების განხორციელებისას უფლებამოსილია საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე დადოს ხელშეკრულება მოქალაქეებთან მათი შრომის (მათ შორის დაქირავებული) გამოყენების შესახებ.

მუხლი 5. საკუთრების უფლების სუბიექტები საქართველოს რესპუბლიკაში

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრების სუბიექტებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები და უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეები;
ბ) საქართველოს რესპუბლიკის და უცხოეთის სახელმწიფოების იურიდიული პირები;
გ) საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების და უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებისა და იურიდიული პირების გაერთიანებები;
დ) საქართველოს რესპუბლიკა;
ე) ავტონომიური რესპუბლიკა;
ვ) საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი მმართველობის ორგანოები;
ზ) უცხოეთის სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

მუხლი 6. საკუთრების უფლების ობიექტები

საქართველოს რესპუბლიკაში საკუთრებაში შეიძლება იყოს:

მიწა და მისი წიაღი, შიგა და ტერიტორიული წყლები, საჰაერო სივრცე და კონტინენტური შელფი საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში; ტყეები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, სხვადასხვა სახის საწარმოები, წარმოების, ტრანსპორტისა და ინფორმაციის საშუალებები, ინფრასტრუქტურა, საბინაო ფონდი, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და დანადგარები;

ინფორმაცია, ინტელექტუალური მოღვაწეობის პროდუქტები, ქონების სამეურნეო და სხვა გამოყენების შედეგები;

ძვირფასი ლითონები, ფული, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, ფასეულობები, აგრეთვე სხვა ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 7. სანივთო უფლებები

კანონით დადგენილ და მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში მისი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებით შეიძლება აღიჭურვონ სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ამ უფლებას კანონის და მესაკუთრის მიერ გათვალისწინებულ ფარგლებში.

სახელმწიფოს ან იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უფლებები, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევებში ახორციელებენ მესაკუთრის ქონების სამეურნეო ან სხვაგვარ გამოყენებას, დაცულია მესაკუთრის უფლებების მსგავსად, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი. 8. საერთო საკუთრება

საერთო საკუთრების უფლებით ქონება შეიძლება ეკუთვნოდეს ერთდროულად რამდენიმე ფიზიკურ და (ან) იურიდიულ პირს, თითოეული მათგანის წილის განსაზღვრით (წილობრივი საკუთრება) ან წილის განსაზღვრის გარეშე (თანასაკუთრება). საერთო საკუთრებაში მყოფი ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება ყველა მესაკუთრის შეთანხმებით.

კარი II

კერძო საკუთრება

მუხლი 9. ზოგადი დებულებები კერძო საკუთრების შესახებ

კერძო საკუთრების წარმოქმნა და გადიდება ხდება მოქალაქის (მოქალაქეების) მიერ წარმოებაში მიღებული შემოსავლით, სამეწარმეო საქმიანობით, საკუთარი მეურნეობის წარმართვის შედეგად, აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდებისაგან მიღებული დივიდენდებით, სხვადასხვა გარიგებებით, აგრეთვე შემოწირულობებით, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების შედეგად, ან სხვა ისეთი საქმიანობით, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

მოქალაქის უფლებას კერძო საკუთრების მემკვიდრეობაზე აღიარებს და იცავს კანონი,

მუხლი 10, კერძო საკუთრების უფლების ობიექტები

კერძო საკუთრებაში შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, ბინა, აგარაკი, საბაღე სახლი, გარაჟი, საოჯახო მეურნეობისა და პირადი მოხმარების საგნები, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები, პროდუქტიული და მუშა პირუტყვი, ფრინველი;

ძვირფასი ლითონები და ფასეულობები, ფული, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; საწარმოები, შენობა-ნაგებობები, დანადგარები და მოწყობილობები, სხვადასხვა სახის საწარმოო და სამომხმარებლო დანიშნულების ქონება, წარმოებული პროდუქცია, სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე სხვა ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება მოქალაქისათვის კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 11. მოქალაქის მიერ სამეწარმეო საქმიანობისათვის საკუთარი ქონების გამოყენება

მოქალაქის საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში იურიდიული პირის უფლების შეძენის გარეშე.

მოქალაქეს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა და ამ საქმიანობისას გამოიყენოს თავისი ქონება შენატანის სახით სხვადასხვა სახის სამეურნეო საზოგადოებაში და ამხანაგობაში ან მოქალაქეთა და იურიდიული პირების გაერთიანებაში.

მოქალაქეთა ქონება, რომელსაც ერთობლივად იყენებენ სამეწარმეო საქმიანობისათვის, ამ საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქცია და შემოსავალი განეკუთვნება ამ მოქალაქეებს საერთო წილობრივი საკუთრების უფლებით, თუ მათ შორის დადებული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 12. ინდივიდუალური საწარმოს საკუთრება

ინდივიდუალური საწარმო ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით ან მისი ოჯახის წევრებს საერთო საკუთრების უფლებით, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. იგი იქმნება მოქალაქის (მისი ოჯახის) ქონებისა და სხვა შემოსავლების საფუძველზე, აგრეთვე მოქალაქის (მისი ოჯახის) მიერ სახელმწიფო ან ადგილობრივი საწარმოს ან მისი ქონების შეძენის გზით, ან კანონით დაშვებულ სხვა საფუძველზე.

ინდივიდუალური საწარმოს ქონება განუყოფელია მეწარმის ქონებისაგან. მეწარმე საწარმოს ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

ინდივიდუალური საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ბანკთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება ამ საწარმოს მფლობელი მოქალაქის (მისი ოჯახის) საკუთრებაა.

მუხლი 13. ერთი პირის საწარმოს საკუთრება

ერთი პირის საწარმო იურიდიული პირია. იგი ეკუთვნის მოქალაქეს საკუთრების უფლებით. ერთი პირის საწარმოს ქონება წარმოადგენს მისი (მოქალაქის) ქონების განკერძოებულ ნაწილს, რომელიც განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობისათვის. საწარმოს ვალდებულებებზე იგი პასუხს აგებს საწარმოს ქონებით.

ერთი პირის საწარმო შეიძლება შეიქმნას სახელმწიფო, ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს ან სხვა ქონების შეძენის, ან ახალი საწარმოს დაფუძნების გზით.

ერთი პირის საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში კრედიტორებთან და ბანკთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება მისი მფლობელი მოქალაქის საკუთრებაა.

მუხლი 14. სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის საკუთრება

სხვადასხვა სახის საზოგადოებას და ამხანაგობას (სრული სამეურნეო ამხანაგობა, შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება), აგრეთვე სრული სამეურნეო ამხანაგობის ისეთ სახეებს, როგორიცაა კოოპერატივი და სასოფლო კოოპერაცია (დღევანდელი კოლმეურნეობა) აქვთ საკუთრების უფლება ქონებაზე, რომელიც მათ გადაეცათ წევრების მიერ შენატანების სახით, აგრეთვე იმ ქონებაზე, რომელიც მიღებულია ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად ან შექმნილია მათ მიერ კანონით დაშვებულ სხვა საფუძველზე.

სააქციო საზოგადოებები არიან იმ ფულადი სახსრების მესაკუთრეები, რომლებიც მიიღება აქციების გაყიდვით.

სამეურნეო საზოგადოების და ამხანაგობის ქონების გამოყენების წესი განისაზღვრება მათი წესდებით და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

სამეურნეო საზოგადოების და ამხანაგობის წევრები შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

სამეურნეო საზოგადოება და ამხანაგობა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით მისი ერთ-ერთი ფორმის, სრული სამეურნეო ამხანაგობის გარდა.

სამეურნეო საზოგადოებისა და ამხანაგობის წევრების შენატანებს შეადგენს ნივთები, ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე ქონების გამოყენების უფლებები.

სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის წევრი თავისი შენატანის შესაბამისად იძენს უფლებას მოგების წილის მიღებაზე და როგორც წესი, ამ საზოგადოების ან ამხანაგობის მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობაზე.

სამეურნეო საზოგადოების ან ამხანაგობის ლიკვიდაციის შემთხვევაში მის წევრებს აქვთ უფლება ქონების ნაწილზე, რომელიც დარჩა საზოგადოების ან ამხანაგობის კრედიტორების პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, ან მისი რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალზე საკუთარი წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. სამეურნეო გაერთიანების საკუთრება

სამეურნეო გაერთიანებას (კონცერნი, კონსორციუმი, დარგობრივი, დარგთაშორისო, რეგიონალური და სხვა გაერთიანება) აქვს საკუთრების უფლება წევრების მიერ მისთვის ნებაყოფლობით გადაცემულ ან სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ, ან სხვა კანონით დაშვებულ საფუძველზე შეძენილ ქონებაზე.

სამეურნეო გაერთიანება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

სამეურნეო გაერთიანებას არა აქვს საკუთრების უფლება გაერთიანების წევრთა ქონებაზე, თუ კანონმდებლობით ან მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გაერთიანება არ აგებს პასუხს მისი წევრების ვალდებულებებისათვის, და პირიქით, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეურნეო გაერთიანების საქმიანობის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება განიკარგება თავისი წესდების შესაბამისად.

მუხლი 16. უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქისა და იურიდიული პირის საკუთრება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე

ამ კანონის ის დებულებები, რომლებიც ეხება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საკუთრებას ვრცელდება ასევე უცხოეთის სახელმწიფოების მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე იმ განსხვავებით, რომ კანონმდებლობით ცალკე განისაზღვრება ქონების ნუსხა, რომლის ფლობაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათთვის აკრძალულია.

კარი III

კოლექტიური საკუთრება

მუხლი 17. ზოგადი კოლექტიური საკუთრების დებულებანი

კოლექტიურ საკუთრებას განეკუთვნება სხვადასხვა სახის საზოგადოების კავშირისა და ფონდის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების და რელიგიური ორგანიზაციის საკუთრება.

მუხლი 18. სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირისა და ფონდის საკუთრება

სხვადასხვა სახის საზოგადოება, კავშირი და ფონდი სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მათ აქვთ საკუთრების უფლება დამაარსებლის მიერ მათთვის საკუთარი წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის გადაცემულ ქონებაზე.

სხვადასხვა სახის საზოგადოებას, კავშირს და ფონდს აქვთ საკუთრების უფლება ასევე იმ ქონებაზეც, რომელიც მათ შეიძინეს ან შექმნეს საკუთარი სახსრებით, წესდებით რეგლამენტირებული სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლით, აგრეთვე ფიზიკური ან იურიდიული პირების, ან სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემულ ანდა სხვა კანონით დადგენილ საფუძველზე შეძენილ ქონებაზე.

სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირის და ფონდის საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს მიწის ნაკვეთები, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობები, დანადგარები და მოწყობილობები, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი საპროგრამო დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

სხვადასხვა სახის საზოგადოებასთან და ფონდთან შეიძლება შეიქმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო. საზოგადოებრივი საწარმო იურიდიული პირია.

სხვადასხვა სახის საზოგადოება და ფონდი პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი საწარმოს ვალდებულებებზე და პირიქით.

სხვადასხვა სახის საზოგადოების, კავშირის ან ფონდის ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება ბიუჯეტთან, ბანკთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ განიკარგება მათი პროგრამით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად.

მუხლი 19. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების საკუთრება

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება იურიდიული პირია. მას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი საპროგრამო დოკუმენტებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ფულადი სახსრები იქმნება საწევრო შენატანების, საგამომცემლო საქმიანობისა და პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით მიღებული შემოსავლით, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებისა და სახელმწიფოს მიერ შეტანილი თანხისაგან.

მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას არა აქვს უფლება გამოიყენოს თავისი ქონება სხვა არასაწესდებო სამეურნეო ან კომერციული საქმიანობისათვის.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ უკანონო გზით მიღებული ქონება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცემა სახელმწიფოს.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების ლიკვიდაციის შემთხვევაში დარჩენილი ქონება განიკარგება მისი წესდების საფუძველზე.

მუხლი 20. რელიგიური ორგანიზაციის საკუთრება

რელიგიური ორგანიზაციის საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს საკულტო, სოციალური, საქველმოქმედო, კულტურული და სამეურნეო დანიშნულების შენობები და ობიექტები, საკულტო და სხვა სახის ნივთები, მოწყობილობები და დანადგარები, ფული და სხვა ფასიანი ქაღალდები, ფასეულობები, აგრეთვე სხვადასხვა ქონება, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობისათვის.

რელიგიური ორგანიზაცია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

რელიგიურ ორგანიზაციას აქვს საკუთრების უფლება იმ ქონებაზე, რომელიც მან შეიძინა ან შექმნა საკუთარი სახსრებით, შემოწირულობების საშუალებით ან კანონმდებლობით დაშვებულ სხვა საფუძველზე.

რელიგიურ ორგანიზაციასთან შეიძლება შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციის საწარმო, იურიდიული პირის უფლებით.

რელიგიური ორგანიზაცია პასუხს არ აგებს საზოგადოებრივი საწარმოს ვალდებულებებზე და პირიქით.

რელიგიური ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში მისი დარჩენილი ქონება ბიუჯეტთან, ბანკთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ განიკარგება საკუთარი წესდების საფუძველზე.

კარი IV

სახელმწიფო საკუთრება

მუხლი 21. სახელმწიფო საკუთრების ზოგადი დებულებანი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრება რესპუბლიკის მოქალაქეთა საერთო საკუთრებაა.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფო საკუთრებით კანონით დადგენილი წესის საფუძველზე.

სახელმწიფო საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებს წყვეტენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საკუთრების მართვაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში არჩევნების გზით ან უშუალოდ რეფერენდუმის საშუალებით.

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის საკუთრება

საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაა მიწა, მისი წიაღი, ტყე, შიდა და ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი და საჰაერო სივრცე რესპუბლიკის ტერიტორიის საზღვრებში.

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკას აქვს შავ ზღვაში მისი ტერიტორიული წყლების მიმდებარე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის რესურსების უპირატესი სარგებლობის უფლება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს ნებისმიერი სახის საწარმო, სხვადასხვა დანიშნულების გზები, კავშირგაბმულობის ქსელი და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები, საბინაო ფონდი, ბანკები, ძვირფასი ლითონები და ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე სხვა ქონება სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ, თავდაცვით და სხვა სფეროში.

მუხლი 23. ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება

ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში სარგებლობს მის ტერიტორიაზე არსებული მიწის, წყლისა და ტყის რესურსებით.

ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში იმყოფება სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სატრანსპორტო საშუალებები და ინფრასტრუქტურის სხვა ობიექტები, საბინაო ფონდი, ბანკები, ფული და სხვა ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე სხვა ქონება სამეურნეო, სოციალურ და კულტურის სფეროებში.

ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებს წყვეტენ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან და მთავრობასთან შეთანხმებით.

მუხლი 24. ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრება

ადგილობრივ საკუთრებაში შეიძლება იმყოფებოდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ქონება, საცხოვრებელი ფონდი, ადგილობრივი მმართველობის საბინაო-კომუნალური მეურნეობა, სხვადასხვა სახის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები სამეურნეო, სოციალური, კულტურის, განათლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში, ფული, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე სხვა ქონება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირების წინაშე მდგარი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ადგილობრივი საკუთრების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხებს წყვეტენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

მუხლი 25. სახელმწიფო და ადგილობრივი (მუნიციპალური) საკუთრების საწარმო და მისი ქონება

სახელმწიფო და ადგილობრივი საწარმოს ქონება იქმნება შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტების, სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი საკუთრების საწარმოების შენატანების შედეგად, ან სხვათა საფუძველზე.

სახელმწიფო საწარმო იურიდიული პირია.

სახელმწიფო საწარმოს დაფუძნება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ადგილობრივი საკუთრების საწარმოს დაფუძნების უფლებამოსილება შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციაა.

ქონება, რომელიც გადაცემულია სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის მიერ შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი საკუთრების საწარმოსათვის, ეკუთვნის მას სრული სამეურნეო გამგებლობის უფლებით.

სახელმწიფო, ისევე როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ფორმირება, პასუხს არ აგებს შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი საწარმოს ვალდებულებებზე და პირიქით.

სახელმწიფო ან ადგილობრივი საკუთრების საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში ბიუჯეტთან, ბანკთან და სხვა კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა შესაბამისად სახელმწიფოს ან ადგილობრივ-ტერიტორიულ ფორმირებას.

მუხლი 26. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების საკუთრება

საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ უფლება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საკუთრებაში ჰქონდეთ საერთაშორისო ურთიერთობების განხორციელებისათვის აუცილებელი ქონება (საელჩოები, საკონსულოები და სხვა) საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

კარი V

საკუთრების უფლების დაცვის გარანტიები

მუხლი 27. საკუთრების უფლების დაცვის ზოგადი გარანტიები

სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ პირობებს დარღვეული ან სადავო საკუთრების უფლების დაცვისათვის.

მუხლი 28. საკუთრების უფლების დაცვის იურიდიული გარანტიები

საქართველოს რესპუბლიკაში მესაკუთრის კანონით დადგენილ ფარგლებში საკუთრების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის უფლებამოსილება დაცულია ამ კანონით დადგენილი წესით, ასევე საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსით და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით.

დარღვეული ან სადავო საკუთრების უფლების დაცვა ხორციელდება დადგენილი წესით სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

სახელმწიფო კანონმდებლობაში და მისი პრაქტიკული რეალიზაციის დროს უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკაში არსებული საკუთრების ყველა ფორმის დაცვის თანაბარ პირობებს.

მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელობიდან, ასევე მოითხოვოს საკუთრების უფლების დამრღვევი ყოველგვარი მოქმედების აღკვეთა და ასეთი მოქმედების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მუხლის მიხედვით გათვალისწინებული უფლებები ეკუთვნის აგრეთვე იმ პირს, რომელიც მესაკუთრე არ არის, მაგრამ ფლობს ქონებას კანონის ან ხელშეკრულების ძალით.

მუხლი 29. მესაკუთრის ინტერესების დაცვა კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე მისი უფლებების შეწყვეტის შემთხვევაში

სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების ჩამორთმევა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩამორთმევა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მესაკუთრისათვის ტოლფასი ქონების გადაცემით ან ჩამორთმეული ქონების სრული ანაზღაურებით.

სტიქიური უბედურების, ავარიების, ეპიდემიების, ეპიზოოტიებისა და საგანგებო ხასიათის სხვა გარემოებების დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებით საზოგადოების ინტერესებისათვის მესაკუთრეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება საქართველოს რესპუბლიკის ან ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობების შესაბამისად, ამასთან მას უნდა მიეცეს ქონების სრული ღირებულება (რეკვიზიცია).

საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მესაკუთრეს შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას ქონება სასამართლოს, საარბიტრაჟო სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით ჩადენილი დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევისათვის სანქციის სახით (კონფისკაცია).

კანონით განისაზღვრება იმ ქონების ნუსხა, რომლის ჩამორთმევაც მესაკუთრისათვის აკრძალულია.

თუ მესაკუთრე არ ეთანხმება საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, იგი არ განხორციელდება, ვიდრე დავას არ გადაწყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო.

დავის განხილვისას წყდება აგრეთვე ყველა საკითხი, რომელიც მესაკუთრისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული.

მუხლი 30. მესაკუთრეთა უფლების დამრღვევი აქტების ბათილობა

სახემწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტები, რომელიც არღვევს მესაკუთრის მფლობელობის, სარგებლობის ან განკარგვის უფლებამოსილებას, სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს მესაკუთრის ან სხვა პირების სარჩელით. აღნიშნული აქტების გამოცემის შედეგად ამ პირებისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სრული მოცულობით სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს განკარგულებაში არსებული სახსრების ხარჯზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმისა) ქონებრივი კომპლექსების და სხვა ქონების იჯარით გაცემის ზოგად სამართლებრივ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს, ადგენს საიჯარო საწარმოთა შექმნისა და მათი საქმიანობის ძირითად პრინციპებს.

კარი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. იჯარა

იჯარა არის ხელშეკრულების საფუძველზე მიწის, სხვა ბუნებრივი რესურსების, საწარმოების, ცალკეული ქონებრივი კომპლექსების და სხვა ქონების ვადიანი მისაგებლიანი მფლობელობა და გამოყენება.

მუხლი 2. კანონმდებლობა იჯარის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში საიჯარო ურთიერთობებს აწესრიგებს ეს კანონი, შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, საქართველოს რესპუბლიკის კანონები „საკუთრების შესახებ", „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" და სხვ.

მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების იჯარით გაცემა რეგულირდება საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობით.

მუხლი. 3. იჯარის სფერო და ობიექტები.

იჯარა დაიშვება მეურნეობის ყველა დარგში მიუხედავად ქონების კუთვნილებისა და საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

იჯარით შეიძლება გაიცეს: მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები; საწარმოები და მათი სტრუქტურული ერთეულები; ძირითადი საწარმოო ფონდები, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობანი, როგორც ერთიანი ქონებრივი კომპლექსები; ცალკეული შენობა-ნაგებობანი; მოწყობილობები; სატრანსპორტო საშუალებები; ინვენტარი; ინსტრუმენტები და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

იმ საწარმოების, მათი სტრუქტურული ერთეულების და ქონების ჩამონათვალს, რომელთა იჯარით გაცემა არ შეიძლება, განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 4. იჯარადარი (იჯარით ქონების გამცემი)

იჯარით ქონებას გასცემს მესაკუთრე. ქონება იჯარით შეიძლება გასცეს ორგანომ ან პიროვნებამ, თუ მას მესაკუთრემ მიანიჭა ამგვარი უფლება. სახელმწიფო საწარმოს ადმინისტრაციას საწარმოს მუშაკებთან შეთანხმებით შეუძლია იჯარით გასცეს სტრუქტურული ერთეულები, ცალკეული ქონებრივი კომპლექსები, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები, დანადგარები და სხვა მატერიალური ფასეულობები, რომელთა სრული სამეურნეო გამძღოლის ან ოპერატიული მართვის უფლებაც მას აქვს.

სახელმწიფო საწარმოს იჯარით გასცემს სახელმწიფო მართვის ორგანო. იჯარით ქონება შეიძლება გაიცეს როგორც იჯარადარის, ისე მეიჯარის ინიციატივით.

მუხლი. 5. მეიჯარე (იჯარით ქონების ამღები)

იჯარით ქონება შეიძლება აიღოს: საქართველოს რესპუბლიკის და საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქემ, მოქალაქეობის არმქონე პირმა, მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჯგუფებმა და იურიდიულმა პირმა;

საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეების, იურიდიული პირების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქონების იჯარით აღების თავისებურებანი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონით „უცხოური ინვესტიციების შესახებ".

მუხლი 6. მეიჯარეთა გაერთიანებანი

მეიჯარეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნან სხვადასხვა სახის გაერთიანებები და გადასცენ მათ გარკვეული ფუნქციები.

მეიჯარეებს უფლება აქვთ შევიდნენ სხვადასხვა სახის ნებაყოფლობით გაერთიანებებში.

მუხლი 7. საიჯარო ხელშეკრულება

საიჯარო ხელშეკრულება არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ურთიერთობებს იჯარადარსა და მეიჯარეს შორის. იგი იდება ნებაყოფლობით და მხარეთა სრული თანასწორუფლებიანობის საწყისებზე.

საიჯარო ხელშეკრულებაში მოცემულია: იჯარით გასაცემი ქონების ღირებულება და შემადგენლობა; იჯარის ვადები; საიჯარო ქირის ოდენობა და მისი გადახდის წესი; იჯარით აღებული ქონების სრული აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის მხარეთა ვალდებულებები; იჯარით აღებული ქონების მიმართ მოიჯარის უფლებები და ვალდებულებები; იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შესაძლებლობები და პირობები; იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ ქონების დაბრუნების პირობები.

საიჯარო ხელშეკრულებით განისაზღვრება იმ ნედლეულის, მასალების, სათბობის და სხვა მატერიალური რესურსების მარაგების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, წარმოების სხვადასხვა ფონდების გამოყენების წესი, რომელიც არსებობდა საწარმოში მისი იჯარით გაცემის მომენტში.

საიჯარო ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მეიჯარის ვალდებულებები, მოიჯარის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგების, წარმოების განვითარების, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, წარმოების ტექნიკური განახლების, სოციალური განვითარების, საინფორმაციო უზრუნველყოფის, საკონსულტაციო და სხვაგვარი დახმარების, კადრების მომზადების, იჯარით აღებული ქონების ეფექტიანი გამოყენებისა და მისი ჯეროვანი მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

საიჯარო ხელშეკრულებაში ცალკე გამოიყოფა იჯარით აღებული საწარმოს კუთვნილი არასაწარმოო სფეროს ობიექტების (საბინაო-კომუნალური, სოციალურ-კულტურული და სხვა დანიშნულების) მიმართ მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

(გაგრძელება მე-4 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ

გაგრძელება.

საიჯარო ხელშეკრულებით განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებისა და საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლის წესი და პირობები; პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, ხელშეკრულების ცალმხრივი წესით შეცვლისა და დარღვევისათვის, მხარეებს ეკისრებათ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

თუ სახელმწიფო ორგანოს, რომელმაც იჯარით გასცა სახელმწიფო საწარმოს ქონება, არ გააჩნია საკმარისი სახსრები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, მეიჯარის წინაშე პასუხისმგებელია ამ ქონების მესაკუთრე.

მუხლი 8. იჯარით გასაცემი ქონების შეფასება

იჯარით გასაცემი სახელმწიფო ქონების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ქონების შეფასების დებულების საფუძველზე.

იჯარით გასაცემი სახელმწიფო ქონების შეფასებისათვის სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო ქმნის კომისიას, რომელშიც მის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ იჯარით გასაცემი სახელმწიფო საწარმოს წარმომადგენლები.

კომისია ატარებს ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების, ფულადი სახსრების და ანგარიშების ინვენტარიზაციას. ინვენტარიზაციის მონაცემებისა და სახელმწიფო ქონების შეფასების დებულების საფუძველზე იგი განსაზღვრავს იჯარით გასაცემი ქონების ღირებულებას და ადგენს შესაბამის აქტს.

თუ ქონება არ ეკუთვნის სახელმწიფოს ან მისი წილი ქონებაში არ აღემატება 50 პროცენტს, იჯარით გასაცემი ქონების ღირებულება განისაზღვრება ან ზემოაღნიშნული წესით, ან მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, იჯარით ქონების გაცემის მომენტში მისი ფაქტობრივი ცვეთის და სხვა პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 9. საიჯარო ქირა

მეიჯარე იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის იხდის საიჯარო ქირას (საიჯარო პროცენტი), რომელიც როგორც წესი, არ უნდა იყოს იმ თანხაზე ნაკლები, რომელსაც მიიღებდა იჯარადარი პროცენტის სახით, იჯარით გაცემული ქონების ტოლი თანხის საბანკო დაწესებულებაში მოთავსებით.

საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს:

საიჯარო პერიოდის ყოველი წლისთვის იჯარით აღებული ქონების ყოველწლიური ფაქტობრივი ღირებულების მიმართ ფიქსირებული პროცენტის სახით;

ყოველწლიურად შესატანი (გადასახდელი) აბსოლუტური თანხის სახით;

იჯარით აღებული ქონების გამოყენებით მიღებული მოგების (შემოსავლის) მიმართ ფიქსირებული პროცენტის სახით.

საიჯარო ქირაში შეიძლება შეტანილ იქნეს იჯარით აღებული ქონების სრული აღდგენისათვის დარიცხული ამორტიზაციის ანარიცხები და მათი რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრები.

საიჯარო ქირაში შესატანი ამორტიზაციის ანარიცხებისა და რემონტისათვის გათვალისწინებული სახსრების ოდენობა დამოკიდებულია იჯარით აღებული ქონების კვლავწარმოებაში მხარეთა საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებზე, იჯარის ვადებზე და ქონების გამოსყიდვის პირობებზე. საიჯარო ქირაში სრული აღდგენისათვის გათვალისწინებული ამორტიზაციის ანარიცხები და რემონტისათვის განკუთვნილი სახსრები შეიტანება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მეიჯარე თავის თავზე იღებს იჯარით გაცემული ქონების სრული აღდგენისა და რემონტის სამუშაოებს.

საიჯარო ქირა შეიძლება აგრეთვე შეიცავდეს სახსრებს, რომლებსაც მეიჯარე გადასცემს იჯარადარს ობიექტის შესაკეთებლად მისი იჯარის ვადის გასვლის შემდეგ.

საიჯარო ქირა შეიძლება დაწესდეს იჯარით აღებულ მთელ ქონებაზე ერთობლივად ან ცალ-ცალკე თითოეული ობიექტის მიხედვით, ფულადი, ნატურალური ან შერეული ფორმით. საიჯარო ქირის გადახდის წესი და ვადები განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებით.

საიჯარო ქირა შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მაგრამ არა უმეტეს 5 წელიწადში ერთხელ. საიჯარო ქირა შეიძლება ვადამდე გადაისინჯოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ფასებისა და ტარიფების ცენტრალიზებულად შეცვლის ან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

იჯარადარს უფლება აქვს წამგებიანი ან მცირერენტაბელური სახელმწიფო საწარმო მეიჯარეს მისცეს შეღავათებით: შეუმციროს საიჯარო ქირა ან გადაუვადოს მისი გადახდის ვადები.

საიჯარო ქირა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადაეცემა მესაკუთრეს. სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის შემთხვევაში საიჯარო ქირა გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 10. საკუთრება იჯარის დროს

იჯარით გაცემული ქონება რჩება იჯარადარის საკუთრებაში.

მეიჯარის საკუთრებაა პროდუქცია და შემოსავალი, რომელსაც იგი იღებს იჯარით აღებული ქონების გამოყენებით. მეიჯარის საკუთრებაა აგრეთვე საკუთარი სახსრებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე მიღებული და შეძენილი მატერიალური და სხვა ფასეულობები, რომლებიც არ შედის იჯარით აღებული ქონების შემადგენლობაში.

მეიჯარის საკუთრებაა ყველა ის გაუმჯობესება, რომელიც მან შეიტანა იჯარით აღებულ ობიექტში საკუთარი და სხვა კანონიერი სახსრებით და რომელთა გამოყოფა, გამოცალკევება შესაძლებელია იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეიჯარის საკუთრებაა ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მან იჯარადართან შეთანხმებით განახორციელა საკუთარი და სხვა კანონიერი სახსრებით და რომელთა გამოყოფა იჯარით აღებული ქონების დაუზიანებლად შეუძლებელია.

განუყოფელ გაუმჯობესებათა ღირებულება, რომლებიც მეიჯარემ განახორციელა იჯარადარის უნებართვოდ, არ ანაზღაურდება.

ქონების იჯარით ხელახლა აღებისას მეიჯარეს უფლება აქვს აინაზღაუროს იჯარით აღებული ქონების განუყოფელი გაუმჯობესებანი, რომლებიც მან საკუთარი სახსრებით განახორციელა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა იჯარადარის ნებართვა ასეთ გაუმჯობესებაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეიჯარეს უფლება აქვს იჯარის ვადის დამთავრების ან საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოითხოვოს მის მიერ განხორციელებული გაუმჯობესების (როგორც გამოსაყოფი, ისე გამოუყოფი) ღირებულების ანაზღაურება, თუ სხვა რამ არ არის (არ ყოფილა) გათვალისწინებული ხელშეკრულებით.

იჯარით აღებული ქონების საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე წარმოებული გაუმჯობესებანი წარმოადგენს იჯარადარის საკუთრებას და ზრდის იჯარით აღებული ქონების ნარჩენ ღირებულებას.

მეიჯარეს უფლება აქვს დამოუკიდებლად შეიტანოს ცვლილებები იჯარით აღებული ქონების შემადგენლობაში, გააფართოოს წარმოება, განახორციელოს რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება იმ პირობით, რომ არ შემცირდება იჯარით აღებული ქონების ღირებულება და საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეიჯარეს უფლება აქვს გაყიდოს, გაცვალოს, ქვეიჯარით გასცეს, დროებით უფასო სარგებლობაში გადასცეს ან სესხად მისცეს მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც შედის იჯარით აღებულ ქონებაში, თუ ქონების ასეთი გადაცემა არ ამცირებს საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკურ პოტენციალს და არ არღვევს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა პირობებს.

თუ ხელშეკრულების დასრულების შემდეგ დასაბრუნებელი ქონების მდგომარეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე უარესია, მეიჯარე უნაზღაურებს იჯარადარს მიყენებულ ზარალს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ იჯარით გაცემული ქონება გაფუჭდა მისი გამოსადეგობის სრული საამორტიზაციო ვადის გასვლამდე, მაშინ მეიჯარე იჯარადარს უხდის უკმარშეტანილ საიჯარო ქირას და უნაზღაურებს სხვა ზარალს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. თუ მეიჯარე უზრუნველყოფს იჯარით აღებული ქონების გამოყენებას ხელშეკრულებით დათქმული გამოსადეგობის ვადის გასვლამდე, იჯარადარი მეიჯარეს უხდის შესაბამის კომპენსაციას, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 11. იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვა

მეიჯარეს უფლება აქვს ნაწილობრივ ან მთლიანად გამოისყიდოს იჯარით აღებული ქონება. ქონების გამოსყიდვის პირობები, წესი და ვადები განისაზღვრება საიჯარო ხელშეკრულებით. ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო.

იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევები და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ქონების გამოსყიდვა ხორციელდება შემდეგი წესით: მეიჯარეს იჯარადარის სახელზე შეაქვს იჯარით აღებული ქონების მთელი ღირებულება, აგრეთვე უხდის მას იჯარით აღებული ქონების სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირას.

იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვისათვის მოიჯარემ შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი კანონიერი შემოსავალი.

იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შემდეგ მეიჯარეთა გადაწყვეტილებით საიჯარო საწარმო შეიძლება გადაკეთდეს ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოდ.

იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვით მიღებული სახსრები ეკუთვნის მესაკუთრეს.

სახელმწიფო საწარმოს ქონების გამოსყიდვით მიღებული სახსრების განაწილების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.

მუხლი 12. იჯარის ვადები

იჯარის ვადები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით და ფიქსირდება ხელშეკრულებაში.

მიწა, სხვა ბუნებრივი რესურსები, საწარმოები, შენობები და დიდი ქონებრივი კომპლექსები, როგორც წესი, იჯარით გაიცემა ხანგრძლივი ვადით, არანაკლებ 5 წლისა. ქონების ხასიათისა და იჯარის მიზნების გათვალისწინებით საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება იყოს მოკლევადიანი — 5 წლამდე ვადით.

მუხლი 13. საიჯარო ხელშეკრულების შეცვლა, გაუქმება, დარღვევა, შეწყვეტა და გაგრძელება

საიჯარო ხელშეკრულების შეცვლა, გაუქმება, დარღვევა, და შეწყვეტა დაიშვება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით საიჯარო ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს სასამართლომ ან საარბიტრაჟო სასამართლომ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

იჯარადრის რეორგანიზაცია, იჯარით აღებული ქონების მესაკუთრის შეცვლა, არ არის ხელშეკრულების პირობების შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მეიჯარეს უფლება აქვს განაახლოს ხელშეკრულება.

თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ მხარეს არ შეუტანია განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის შესახებ, იგი გაგრძელებულად ითვლება ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით და პირობებით. ახალი ვადით ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში მისი პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

მეიჯარე მოქალაქესთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სხვა თანაბარ პირობებში ახალი ხელშეკრულების დადების უპირატესი უფლება აქვთ მისი ოჯახის წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

მეიჯარის სიკვდილის შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები გადადის მასთან ერთად მცხოვრებ და მომუშავე ერთ-ერთ წევრზე, თუ იგი თანახმაა გახდეს მეიჯარე. იჯარადარს უფლება არა აქვს უარი უთხრას ასეთ პირს მასზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების და მოვალეობების გადაცემაზე მოქმედი ხელშეკრულებით დარჩენილ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო იჯარადრის პირადი თვისებებით.

მუხლი 14. იჯარის პერიოდში წამოჭრილი სადავო საკითხების განხილვა

იჯარის პერიოდში მეიჯარესა და მოიჯარეს შორის წამოჭრილ სადავო საკითხებს განიხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 15. მეიჯარის ქონებრივ უფლებათა დაცვა

მეიჯარის უფლებებს საიჯარო ხელშეკრულებით აღებულ ქონებაზე, იცავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა. მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს:

იჯარით აღებული ქონების დაბრუნება ნებისმიერი უკანონო მფლობელობიდან;

ქონებით სარგებლობაში არსებული ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრა და ქონებისადმი მიყენებული ყოველგვარი ზარალის ანაზღაურება.

იჯარადრისადმი წაყენებული ქონებრივი პრეტენზიები არ ვრცელდება იჯარით გაცემულ ქონებაზე.

მეიჯარეს შეიძლება ჩამოერთვას ქონება მხოლოდ სასამართლოს ან საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებით.

საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უცვლელია საიჯარო ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ხელშეკრულების დადების შემდეგ კანონმდებლობით დადგინდა წესები, რომლებიც აუარესებს მეიჯარის მდგომარეობას. იმ შემთხვევაში, როდესაც ძველი პირობების შენარჩუნება საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა გამო შეუძლებელია, მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების გადასინჯვა და შეცვლა ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით.

კარი II

საიჯარო საწარმო

მუხლი 16. საიჯარო საწარმოს ცნება

საიჯარო საწარმო წარმოადგენს იჯარით აღებული ქონების საფუძველზე ერთობლივი სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობისათვის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანების მიერ შექმნილ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

საიჯარო საწარმო შეიძლება შექმნან:

საწარმოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის მუშაკებმა; ამ საწარმოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის მუშაკებმა სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არამქონე პირებთან გაერთიანებით. მოქალაქეთა ჯგუფებმა, რომელთაც არა აქვთ შრომითი ურთიერთობები იჯარით გასაცემ საწარმოსთან და (ან) არ არიან ამ საწარმოს წევრები.

საწარმოს იჯარით აღების დროს სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭებათ ამ საწარმოს მუშაკებს.

მუხლი 17. საიჯარო საწარმოს შექმნა ამ საწარმოს მუშაკთა მიერ საწარმოს იჯარით აღების გზით

გადაწყვეტილებას საწარმოს იჯარით აღების გზით საიჯარო საწარმოს შექმნის შესახებ იღებს საწარმოს მუშაკთა, ან მათ წარმომადგენელთა საერთო კრება, მისი წევრების არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით.

საიჯარო საწარმოს წევრია ყველა ის, ვინც ხმა მისცა მის შექმნას. საიჯარო საწარმოს წევრი შეიძლება გახდეს აგრეთვე ის, ვინც ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საიჯარო საწარმოს წევრობის სურვილი გამოთქვა.

საიჯარო საწარმოს წევრები საერთო კრებაზე ირჩევენ საინიციატივო ჯგუფს და ავალებენ მას საიჯარო ხელშეკრულების პროექტის მომზადებას და მასზე ხელის მოწერას.

საინიციატივო ჯგუფი ამზადებს ხელშეკრულების პროექტს და წარუდგენს მას მესაკუთრეს ან მის მიერ უფლებამოსილ იმ ორგანოს, რომელსაც უფლება აქვს იჯარით გასცეს სახელმწიფო ქონება. აღნიშნული ორგანო 30 დღის განმავლობაში იხილავს ხელშეკრულების პროექტს და იღებს გადაწყვეტილებას.

საიჯარო ხელშეკრულების დადების დროს წარმოქმნილ სადავო საკითხებს, მათ შორის იმ საკითხებსაც, რომლებიც უკავშირდება ამ საწარმოს იჯარით გადაცემაზე დაუსაბუთებელ უარს და წინადადებების განხილვის ვადის გადაცილებას, განიხილავს და წყვეტს სასამართლო ან საარბიტრაჟო სასამართლო.

საიჯარო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ მეიჯარეთა ორგანიზაციას დადგენილი წესით გადაეცემა საწარმოს ქონება და იგი იძენს საიჯარო საწარმოს სტატუსს.

საიჯარო საწარმო მოქმედებს იმ წესდების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საიჯარო ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება. საიჯარო საწარმო იძენს იურიდიული პირის უფლებას ადგილობრივი მართვის ორგანოებში მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

საიჯარო საწარმოს მისი შუამდგომლობით და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით შეიძლება შეუნარჩუნდეს იმ სახელმწიფო საწარმოს სახელწოდება, რომელიც მან იჯარით აიღო.

საიჯარო საწარმო ხდება იჯარით აღებული საწარმოს ქონებრივ უფლებათა და მოვალეობათა, მათ შორის მიწითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლებამონაცვლე.

მეიჯარემ ხელშეკრულებით შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ იკისროს საწარმოს კრედიტორული დავალიანების გადახდა.

იჯარით გაცემული საწარმოს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ვალდებულებებს ასრულებს მეიჯარე. იჯარადარი გადასცემს მეიჯარეს ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის მატერიალურ რესურსებს ან მათ ლიმიტებს (ფონდებს), აგრეთვე ახორციელებს სხვა საჭირო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ამ ვალდებულებათა შესრულებას.

საიჯარო საწარმო ინარჩუნებს იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოსათვის დადგენილი მოცულობით ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებისა და დოტაციის უფლებას.

საიჯარო საწარმოს გადაეცემა იჯარით აღებული საწარმოს უფლება-მოვალეობანი მონაწილეობდეს იმ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რომელზეც იგი მდებარეობს.

საიჯარო ხელშეკრულება განსაზღვრავს იჯარით აღებულ საწარმოში სათბობის, ნედლეულის, მასალების და სხვა საწარმოო მომარაგების გამოყენების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა ნაწარმის, საწარმოში არსებული სხვადასხვა ფონდების ნაშთების განაწილების, საუწყებო საბინაო ფონდის გამოყენების, მისი დაფინანსების, დებიტორული დავალიანების დაფარვისას მიღებული სახსრების წარმართვის პირობებს.

არ დაიშვება საიჯარო საწარმოებისათვის ზედმეტი ობიექტების იჯარით იძულებით გადაცემა.

მუხლი 18. საიჯარო საწარმოს შექმნა საწარმოს იჯარით აღებით ამ საწარმოს მუშაკების სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად

გადაწყვეტილებას საწარმოს იჯარით აღებით საიჯარო საწარმოს შექმნის შესახებ ამ საწარმოს მუშაკების სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად იღებს საწარმოს მუშაკთა საერთო კრება, მისი წევრების არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით.

ასეთი სახის საიჯარო საწარმო იქმნება ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 19. საიჯარო საწარმოს შექმნა საწარმოს იჯარის აღებით მოქალაქეთა ჯგუფის მიერ, რომელთაც არა აქვთ შრომითი ურთიერთობა იჯარით გასაცემ საწარმოსთან და (ან) არ არიან მისი წევრები

გადაწყვეტილებას საწარმოს იჯარით აღებით საიჯარო საწარმოს შექმნის შესახებ იღებს ამ მიზნით გაერთიანებულ მოქალაქეთა ჯგუფი. თუ საიჯარო საწარმო სახელმწიფო საწარმოს ბაზაზე იქმნება, მაშინ საჭიროა საწარმოს მუშაკთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობა.

ასეთი საიჯარო საწარმო იქმნება ამ კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 20. საიჯარო საწარმოს შექმნა საწარმოს სტრუქტურული ერთეულების იჯარით გაცემის გზით

საიჯარო საწარმო შეიძლება შეიქმნას საწარმოს სტრუქტურული ერთეულების იჯარით გაცემის გზით. სტრუქტურული ერთეულების ქონება იჯარით შეიძლება მიეცეთ: ამ სტრუქტურული ერთეულების მუშაკებს; ამ სტრუქტურული ერთეულების მუშაკებს სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად; მოქალაქეთა ჯგუფებს, რომელთაც არ აქვთ შრომითი ურთიერთობა იჯარით გასაცემ სტრუქტურულ ერთეულთან და (ან) არ არიან მისი წევრები.

გადაწყვეტილებას საიჯარო საწარმოს შექმნის შესახებ, როდესაც მას ქმნიან მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის მუშაკები სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად, იღებს საწარმოს სტრუქტურული ერთეულის მუშაკთა საერთო კრება, მისი წევრების არანაკლებ ორი მესამედის თანხმობით. თუ საიჯარო საწარმოს ქმნის მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთაც არ აქვთ შრომითი ურთიერთობა იჯარით გასაცემ სტრუქტურულ ერთეულთან და (ან) არ არიან მისი წევრები, გადაწყვეტილებას საიჯარო საწარმოს შექმნის შესახებ იღებს ამ მიზნით გაერთიანებულ მოქალაქეთა ჯგუფი.

ასეთი საიჯარო საწარმო იქმნება ამ კანონის მე-17 და მე-19 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 21. საწარმოს იჯარით გაცემა იურიდიულ პირზე

საწარმო ან მისი სტრუქტურული ერთეული შეიძლება იჯარით მიეცეს იურიდიულ პირს საიჯარო საწარმოს შექმნის გარეშე. თუ იურიდიულ პირს იჯარით გადაეცემა საწარმო ან მისი სტრუქტურული ერთეული, მაშინ აუცილებელია ამ საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკთა არანაკლებ ორი მესამედის თანხმობა.

საწარმოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის იჯარით გაცემისას საიჯარო ხელშეკრულებაში ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან ერთად აუცილებლად უნდა აისახოს იჯარით გაცემული საწარმოს (მისი სტრუქტურული ერთეულის) მუშაკთა სოციალური დაცვის გარანტიები.

მუხლი 22. საწარმოების (მათი სტრუქტურული ერთეულების) იჯარით გაცემა კონკურსის წესით

საწარმო (მისი სტრუქტურული ერთეული) შეიძლება იჯარით გაიცეს კონკურსის წესით.

კონკურსს აცხადებს მესაკუთრე ან ორგანო, რომელსაც მესაკუთრემ მიანიჭა ქონების იჯარით გაცემის უფლება.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ: საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკებს; საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) მუშაკებს სხვა მოქალაქეებთან და (ან) მოქალაქეობის არმქონე პირებთან ერთად; მოქალაქეთა ჯგუფებს, რომელთაც არა აქვთ შრომითი ურთიერთობა კონკურსით იჯარით გასაცემ საწარმოსთან (სტრუქტურულ ერთეულთან) და (ან) არ არიან ამ საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) წევრები.

სხვა თანაბარ პირობებში საწარმოების (სტრუქტურული ერთეულების) კონკურსის საფუძველზე იჯარით აღების უპირატესი უფლება აქვთ მათ მუშაკებს. მეიჯარე კონკურსში მონაწილეობის წინადადებათა განხილვის დროს უპირატესობას აძლევს მათ, ვინც უზრუნველყოფს წარმოების უდიდეს ეფექტიანობას. იჯარით აიღებს შემოთავაზებული ქონების უმეტეს ნაწილს, იკისრებს ვალდებულებას შეიტანოს გადიდებული საარენდო ქირა.

კონკურსის მოწყობის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 23. საიჯარო საწარმოს მართვა

საიჯარო საწარმოს მართვა ხორციელდება მისი წესდების შესაბამისად თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე.

საიჯარო საწარმოს უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საიჯარო საწარმოს წევრთა საერთო კრება. საიჯარო საწარმოს მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის შეიძლება არჩეული იქნეს გამგეობა და მისი თავმჯდომარე.

საიჯარო საწარმოს წევრების საერთო კრება:

ამტკიცებს საიჯარო საწარმოს წესდებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ირჩევს საიჯარო საწარმოს გამგეობას, მის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას, ისმენს ინფორმაციას მათი საქმიანობის შესახებ;

ამტკიცებს საიჯარო საწარმოს განვითარების გრძელვადიან პროგრამებს;

იღებს გადაწყვეტილებებს საიჯარო საწარმოს რეორგანიზაციისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის საკითხებზე;

იღებს გადაწყვეტილებებს საიჯარო საწარმოს საქმიანობის სხვა საკითხებზე.

მუხლი 24. საიჯარო საწარმოს სამეურნეო საქმიანობა

საიჯარო საწარმო თავის საქმიანობას წარმართავს დამოუკიდებლად, საიჯარო ხელშეკრულებისა და წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით. საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ მეიჯარე სრულიად თავისუფალია თავის არჩევანში და სამეურნეო საქმიანობაში.

საიჯარო საწარმოს საიჯარო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებით უფლება აქვს მოახდინოს საიჯარო ობიექტების რეკონსტრუქცია, გაფართოება და ტექნიკური გადაიარაღება, განახორციელოს დამატებითი კაპიტალდაბანდებები, თუ ეს მიმართულია საიჯარო საწარმოს საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის.

საიჯარო საწარმო ვალდებულია შეასრულოს სახელმწიფო შეკვეთით პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოება და რეალიზაცია მისი იჯარაზე გადასვლის წლისათვის მიღებული შეკვეთების მოცულობით. ამ შემთხვევაში პროდუქციის წარმოებისათვის (სამუშაოთა შესრულებისათვის, მომსახურების გაწევისათვის) საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ნედლეულით, მასალებით და ა. შ. მეიჯარეს უზრუნველყოფს იჯარადარი.

სახელმწიფო შეკვეთებით წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია და მათი წარმოებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა წარმოებს ფასებით, რომლებიც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოებისათვის.

საიჯარო საწარმო პასუხს აგებს საიჯარო საწარმოს სესხზე იმ ქონებით, რომელიც ეკუთვნის მას როგორც მეიჯარეს.

საიჯარო საწარმო აწარმოებს თავისი საქმიანობის შედეგების აღრიცხვას და ადგენს საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშგებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საიჯარო საწარმოს სამეურნეო საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“.

მუხლი 25. საიჯარო საწარმოს ფინანსები

საიჯარო საწარმოს ფინანსური რესურსები ყალიბდება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან ამონაგების, კრედიტების, ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული სახსრების, შეწირულობებისა და სხვა ფინანსური სახსრების ხარჯზე.

საიჯარო საწარმოს მიერ მიღებული ამონაგებით ანაზღაურდება მატერიალური და მასთან გათანაბრებული დანახარჯები, შრომის ანაზღაურების ხარჯები, შეაქვთ კანონით დადგენილი აუცილებელი გადასახადების, საიჯარო ქირა, სადაზღვევო გადასახდელი, ისტუმრებენ კრედიტის პროცენტს. დარჩენილი ქონება მთლიანად გადადის საწარმოს განკარგულებაში. იგი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ მოგების გამოყენების მიმართულებას.

საიჯარო საწარმოს შეუძლია გამოუშვას აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, განახორციელოს მიზნობრივი სესხი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაყიდოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.

საიჯარო საწარმოს შეუძლია თავისი სახსრების ხარჯზე სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს მისცეს კრედიტი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პირობებით, მათ შორის კრედიტით სარგებლობისათვის პროცენტის ოდენობის შესახებ მორიგებით.

საიჯარო საწარმოს ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი მითითებით ან საარბიტრაჟო სასამართლოს ან სასამართლოს გადაწყვეტილებით. საიჯარო საწარმოს ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა უდავო წესით დაშვებულია მხოლოდ საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. იმ შემთხვევაში, როცა საიჯარო საწარმო არ ეთანხმება ფულადი სახსრების უდავო ჩამოწერას, მას უფლება აქვს მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს სარჩელით დაუსაბუთებლად ჩამოწერილი სახსრების გადახდევინების შესახებ.

მუხლი 26. შრომა და მისი ანაზღაურება

საიჯარო საწარმოს მუშაკთა შრომით ურთიერთობებს აწესრიგებს შრომის კანონმდებლობა ამ კანონით დადგენილ თავისებურებათა შესაბამისად.

საიჯარო საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს მუშაკთა დაქირავებისა და დათხოვნის წესს, შრომის ანაზღაურების ფორმებსა და სისტემებს, სამუშაო დღის განრიგს, მუშაობის ცვლიანობას, იღებს გადაწყვეტილებას სამუშაო დროის აღრიცხვის შესახებ, ადგენს დასვენების დღეებისა და შვებულების მიცემის წესს. საიჯარო საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ყოველწლიური ფასიანი შვებულებების ხანგრძლივობას. ამასთან, მათი ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები, რაც დადგენილია სახელმწიფო საწარმოების შესაბამისი კატეგორიის მუშაკებისათვის.

სახელმწიფო უზრუნველყოფს საიჯარო საწარმოთა მუშაკების ინტერესების ყოველმხრივ სოციალურ დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო საწარმოს იჯარით გაცემასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ მუშაკებს ეძლევათ იგივე გარანტიები, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო საწარმოს რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის დროს დათხოვნილი მუშაკებისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საიჯარო საწარმოს სოციალური და სხვა სახის დაზღვევის სახელმწიფო ფონდში შეაქვს თავისი შემოსავლის ანარიცხები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 27. მუშაკის წილი საიჯარო საწარმოს ქონებაში

საიჯარო საწარმოს კუთვნილ ქონებაში წესდებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით განისაზღვრება ყოველი მუშაკის წილი, გამომდინარე მისი პირადი შრომითი მონაწილეობიდან, აგრეთვე ფულადი და სხვა ქონებრივი შენატანიდან.

საიჯარო საწარმოს ქონებაში თითოეული მუშაკის წვლილის მიხედვით შეიძლება გაიცეს აქციები და ფასიანი ქაღალდები საიჯარო საწარმოს წესდების შესაბამისად.

საიჯარო საწარმოს წევრთა აღნიშნულ აქციებსა და ფასიან ქაღალდებზე გაიცემა დივიდენდები წარმოების საბოლოო შედეგებისა და საწარმოს განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, საიჯარო საწარმოს მუშაკთა საერთო კრების მიერ განსაზღვრული ოდენობით. აქციებისა და ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება მათ მფლობელებს ეძლევათ საიჯარო საწარმოს წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საიჯარო საწარმოს წესდებით განისაზღვრება დივიდენდების გადახდის წესი და პირობები იმ მუშაკებისათვის, რომლებმაც საწარმოსთან შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა.

კარი III

მოქალაქეთა მიერ ქონების იჯარით აღება

მუხლი 28. ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარა

მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს ან მოქალაქეთა ჯგუფს უფლება აქვთ იჯარით აიღონ ქონება საიჯარო საწარმოს შეუქმნელად.

მოიჯარე ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას აწესრიგებს ხელშეკრულება ერთობლივი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 29. სამეურნეო საქმიანობა ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარის დროს

ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარის დროს მოიჯარეები დამოუკიდებლად განკარგავენ წარმოებულ პროდუქციას, ახორციელებენ მის რეალიზაციას, ასრულებენ სამუშაოებს და ეწევიან მომსახურებას იმ ფასებითა და ტარიფებით, რომლებიც დადგენილია მომხმარებელთან მორიგებით ან დამოუკიდებლად. მათ შეუძლიათ ნებაყოფლობით იკისრონ სახელმწიფო შეკვეთების შესრულება და ამ შეკვეთების შესაბამისად წარმოებული პროდუქცია (სამუშაო, მომსახურება) გაყიდონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასებით და ტარიფებით.

მეიჯარეს უფლება აქვს იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე იჯარადართან შეთანხმებით ააშენოს საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ნაგებობანი.

მეიჯარის მიერ საკუთარი ან სესხით მიღებული სახსრების ხარჯზე იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე აგებული შენობა-ნაგებობანი წარმოადგენს მის საკუთრებას, თუ საიჯარო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეიჯარეებს უფლება აქვთ სამეურნეო საჭიროებიდან გამომდინარე დადონ შრომითი ხელშეკრულებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მეიჯარეს უფლება აქვს გახსნას ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში: დამოუკიდებლად აირჩიოს ბანკი ფულად-საკრედიტო ოპერაციებისთვის; მიიღოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხი.

მუხლი 30. სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევა ინდივიდუალური და ჯგუფური იჯარის დროს

მეიჯარეს და მასთან ხელშეკრულებით მომუშავე პირებს აქვთ სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება სახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამისთვის მეიჯარე ვალდებულია სოციალური დაზღვევის მიზნით სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში თავისი შემოსავლიდან შეიტანოს ანარიცხები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მეიჯარეს და მასთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირებს ეძლევათ ყველა სახის პენსია სრულიად შეუზღუდავად. სამუშაო პერიოდი, რომლისთვისაც გადახდილია სოციალური დაზღვევის შენატანები, შედის საერთო და უწყვეტ შრომით სტაჟში.

იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ მეიჯარესთან ძირითადი სამუშაოს შემდეგ თავისუფალ დროს, მეიჯარეს შეუძლია მომუშავესთან შეთანხმებით გადაიხადოს სოციალური დაზღვევის ანარიცხები. ამ შემთხვევაში მეიჯარესთან მუშაობისთვის მიღებული ხელფასი დამატებით იქნება გათვალისწინებული სოციალური დაზღვევის და პენსიისათვის თანხის დარიცხვის დროს.

მეიჯარის და მასთან შრომითი ხელშეკრულებით მომუშავე პირთა საქმიანობას აღრიცხავს, აგრეთვე შრომის წიგნაკს აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

კარი IV

შიდასამეურნეო სანარდო იჯარა

მუხლი 31. შიდასამეურნეო სანარდო იჯარის ცნება

შიდასამეურნეო სანარდო იჯარა წარმოადგენს შრომის შიდასამეურნეო ორგანიზაციის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გულისხმობს შიდასამეურნეო იჯარული ურთიერთობის დამყარებას საწარმოს, როგორც იჯარადრისა და მასთან შრომითი ხელშეკრულებით ან წევრობით დაკავშირებული მოქალაქეებისა ან მოქალაქეთა ჯგუფებს (მეიჯარე ორგანიზაციას), როგორც მეიჯარეებს შორის.

შიდასამეურნეო სანარდო იჯარა, როგორც ცალკეული მუშაკების, მუშაკთა ჯგუფების და საწარმოს სტრუქტურული ერთეულების ყველა მუშაკის შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოში მიუხედავად საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

მუხლი 32. შიდასამეურნეო სანარდო საიჯარო ხელშეკრულება

შიდასამეურნეო სანარდო იჯარის დროს იჯარადარსა და მეიჯარეს შორის იდება ხელშეკრულება.

ხელშეკრულებით განისაზღვრება: იჯარის ობიექტი; პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების მოცულობა და ვადები; პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასები და ტარიფები; პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის პირობები; ბიუჯეტთან, ბანკთან და ზემდგომ ორგანოსთან ანგარიშსწორების საკითხები; საიჯარო ორგანიზაციის მონაწილეობა საწარმოს ხარჯებსა და გადასახდელებში; მატერიალური და სხვა ხარჯების აღრიცხვის წესი და ფორმები; მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის.

მუხლი 33. საიჯარო ორგანიზაციის დებულება

მოქალაქეთა ჯგუფის გადასვლისას შრომის ანაზღაურების შიდასამეურნეო სანარდო იჯარაზე მათი ურთიერთობა და საქმიანობა განისაზღვრება დებულებით საიჯარო ორგანიზაციის შესახებ ან მათი, როგორც მეიჯარეებს შორის, ერთობლივი საქმიანობისათვის დადებული ხელშეკრულებით.

დებულებას საიჯარო ორგანიზაციის შესახებ ამუშავებს და დამოუკიდებლად ამტკიცებს საიჯარო ორგანიზაცია.

დებულებაში მოცემულია: იჯარის ობიექტი; მეიჯარეთა საქმიანობის მიზანი; საიჯარო ორგანიზაციაში შესვლისა და გამოსვლის წესი; მისი წევრების უფლება-მოვალეობანი; საიჯარო ორგანიზაციის თვითმმართველობისა და კონტროლის ორგანოები, მათი უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა; შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები; შრომის შიდაგანაწესი, დასვენების დღეებისა და შვებულებების მიცემის წესი; ქონების წარმოქმნისა და განაწილების წესი; საიჯარო ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი.

დებულებაში გარდა აღნიშნულისა შეიძლება იყოს სხვა ისეთი პუნქტები, რომლებიც მოაწესრიგებენ საიჯარო ორგანიზაციის შიდასამეურნეო საქმიანობას.

მუხლი 34. მეიჯარის უფლება-მოვალეობანი შიდასამეურნეო სანარდო იჯარის დროს

იჯარადარი უფლებამოსილია:

დაამტკიცოს შიდასამეურნეო საანგარიშსწორებო ფასები და ტარიფები მეიჯარის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე);

დაამტკიცოს მეიჯარის მიერ მატერიალური და სხვა ხარჯების აღრიცხვის წესი და ფორმები;

უფლება მისცეს მეიჯარეს დამოუკიდებლად მოახდინოს მათ მიერ ხელშეკრულებით წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და მიღებული შემოსავალი გამოიყენოს შრომის ასანაზღაურებლად, გადასახდელებისა და სოციალური დაზღვევის შესატანის გასასტუმრებლად.

უფლება მისცეს მეიჯარეს გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად საწარმოს სახელით შრომითი ხელშეკრულებები დაუდოს იმ მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან საიჯარო ორგანიზაციის წევრები. ამ მოქალაქეთა შრომის ანაზღაურება ხდება იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც განკუთვნილია საიჯარო ორგანიზაციის წევრთა შრომის ანაზღაურებისათვის;

უფლება მისცეს მეიჯარეს დადოს სამეურნეო ხელშეკრულებები საწარმოს სახელით. ამ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობისათვის მეიჯარე პასუხს აგებს მის განკარგულებაში არსებული ქონებით. თუ ეს ქონება არ არის საკმარისი, მეიჯარის ვალდებულებისთვის პასუხს აგებს იჯარადარი. როდესაც იჯარადარი მეიჯარეს აძლევს უფლებას მისი სახელით დადოს სამეურნეო ხელშეკრულებანი, მეიჯარეს შეიძლება მიეცეს საბანკო დაწესებულებებში დამოუკიდებელი ანგარიშის გახსნის უფლება;

მისცეს მეიჯარეს სხვადასხვა შეღავათები;

სანარდო საიჯარო ხელშეკრულებით წარმოებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) იჯარადარის საკუთრებაა.

იჯარადარი მოვალეა:

დადგენილი წესით აწარმოოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, ბანკთან და ზემდგომ ორგანოსთან მთლიანად საწარმოს საქმიანობის შედეგების მიხედვით;

განახორციელოს ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა და საწარმოს ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები საერთო გეგმის მიხედვით;

განავითაროს სოციალური სფერო.

(დასასრული მე-5 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ

(დასასრული)

მუხლი 85. მეიჯარის უფლებამოვალეობანი

მეიჯარეს უფლება აქვს:

დამოუკიდებლად განსაზღვროს შიდასამეურნეო საქმიანობის ყველა საკითხი;

საიჯარო ორგანიზაციაში შეიყვანოს ახალი წევრები ორგანიზაციის წევრთა თანხმობით;

დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს საწარმოო პროგრამა სანარდო საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისი ვალდებულებების გათვალისწინებით.

თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ხელშეკრულებაში აღნიშნული მოცულობის გადამეტებით წარმოებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება), თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მეიჯარე მოვალეა სანარდო საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად აწარმოოს და გადასცეს იჯარადარს, ან მისი მითითებით გაასაღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება).

მუხლი 86. საიჯარო ქირა სანარდო იჯარის დროს

მეიჯარე მასზე გაპიროვნებული ქონების გამოყენებისათვის იხდის საიჯარო ქირას. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით. იგი შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით ფასებისა და სხვა ეკონომიკური პირობების შეცვლის შემთხვევაში.

თუ იჯარით აღებულ ქონებას იჯარადარი აზღვევს და სტიქიური უბედურების გამო ან სხვა სადაზღვევო შემთხვევებში მეიჯარემ ვერ მიიღო პროდუქცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოცულობით, საიჯარო ქირა კლებულობს იჯარადარის მიერ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურების თანხის პროპორციულად.

მეიჯარეს უფლება აქვს იჯარადარის თანხმობით და მისი სახელით დააზღვიოს იჯარით აღებული ქონება. ამ შემთხვევაში სტიქიური უბედურებისა და სხვა სადაზღვევო შემთხვევების დროს იჯარის ქირის ოდენობა არ გადაისინჯება.

მუხლი 87. მეიჯარის შემოსავალი

მეიჯარის შემოსავალი იქმნება ამონაგებიდან იჯარის ქირის, მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ანარიცხების შეტანის შემდეგ დარჩენილი შემოსავლით.

მეიჯარე თავის შემოსავალს დამოუკიდებლად იყენებს.

მუხლი 88. მეიჯარის საკუთრება შიდასამეურნეო სანარდო იჯარის დროს

მეიჯარის საკუთრება ყალიბდება მისი სამეურნეო საქმიანობიდან და სხვა კანონიერი წყაროებიდან მიღებული შემოსავლით, რომელიც ეკუთვნით მათ საერთო საკუთრების უფლებით.

მეიჯარე ამ ქონების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის წესს განსაზღვრავს საიჯარო ორგანიზაციის დებულებით ან მეიჯარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 89. მეიჯარის უფლებათა დაცვა

შიდასამეურნეო სანარდო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, მეიჯარეზე გაპიროვნებული (გადაცემული) ქონების ჩამორთმევა კანონით აკრძალულია.

სანარდო საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეცვლა ან მოშლა შეიძლება მხოლოდ იჯარადარსა და მეიჯარეს შორის შეთანხმებით.

იჯარადარსა და მეიჯარეს შორის სანარდო საიჯარო ხელშეკრულების შესრულების მოშლისა და შეცვლის გამო წამოჭრილ სადავო საკითხებს იხილავს და წყვეტს სასამართლო და საარბიტრაჟო სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ცნება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ნებაყოფლობით ფორმირებას, რომელიც იქმნება მათი წევრების ინტერესების ერთიანობის საფუძველზე.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებად მიჩნეულია პროფესიული კავშირები, ქალთა, ვეტერანთა, ინვალიდთა, ახალგაზრდათა და ბავშვთა ორგანიზაციები, შემოქმედებითი კავშირები, ფონდები, საზოგადოებრივი მოძრაობები, ასოციაციები, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და მოქალაქეთა სხვა გაერთიანებები.

ეს კანონი არ ვრცელდება კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციებზე, რომლებიც მხოლოდ კომერციულ მიზნებს ისახავენ, რელიგიურ ორგანიზაციებზე, საზოგადოებრივ-ტერიტორიული თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებზე. (მიკრორაიონების საზოგადოებრივი საბჭო, საბინაო კომიტეტი, სახალხო რაზმეული, ამხანაგური სასამართლო და სხვ.), რომელთა შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონებით.

მუხლი 2. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის საფუძველი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება ასრულებს რა თავისი წესდებით გათვალისწინებულ ფუნქციებს, მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

მუხლი 3. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნისა და საქმიანობის მიზნები

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება იქმნება მოქალაქეთა შემოქმედებითი აქტიურობისა და თვითმოქმედების განვითარების, საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის, მათი სოციალურ-ეკონომიკური, პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, პროფესიული ინტერესების დაკმაყოფილების, სამეცნიერო, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების განვითარების, საქველმოქმედო საქმიანობაში მონაწილეობის, სპორტისა და ფიზიკური კულტურის განვითარების, მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის, საერთაშორისო კავშირურთიერთობების გაფართოებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების მიზნით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას უფლება აქვს ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელსაც არ კრძალავს მოქმედი კანონმდებლობა.

დაუშვებელია საზოგადოებრივი შეიარაღებული ფორმირებისა და მოქალაქეთა ისეთი საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომელთა მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი შეცვლა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, კლასობრივი, რელიგიური და ეროვნული შუღლის გაღვივება, ომის, ძალადობისა და სისასტიკის პროპაგანდა, აგრეთვე სისხლის სამართლის წესით დასჯადი სხვა ქმედებათა განხორციელება, ხოლო გასამხედროებული ორგანიზაციების შექმნა და საქმიანობა წესრიგდება კანონმდებლობით.

მუხლი 4. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების თანასწორუფლებიანობა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები კანონის წინაშე თანასწორნი არიან.

მუხლი 5. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება და სახელმწიფო

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას გარანტირებული აქვს პირობები თავისი საწესდებო ამოცანების შესრულებისათვის.

სახელმწიფო მატერიალურ და ფინანსურ დახმარებას უწევს ინვალიდთა, ახალგაზრდულ და ბავშვთა ორგანიზაციებს, ატარებს მათ მიმართ შეღავათიან საგადასახადო პოლიტიკას, ბავშვთა ორგანიზაციებს უფლებას აძლევს უფასო ან შეღავათიანი პირობებით ისარგებლონ სასკოლო შენობებით, კულტურის სახლებით, სასახლეებით და კლუბებით, სპორტული და სხვა ნაგებობებით.

მუხლი 6. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების სახეები

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას შემდეგი სახის მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებები: რესპუბლიკური (ავტონომიური რესპუბლიკის), რეგიონული, ადგილობრივი მნიშვნელობისა და აგრეთვე საერთაშორისო გაერთიანებები.

მოქალაქეთა რესპუბლიკურ (ავტონომიური რესპუბლიკის) საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება ის გაერთიანება, რომლის საქმიანობა მოიცავს საქართველოს რესპუბლიკის (ავტონომიური რესპუბლიკის) თუნდაც რამდენიმე რაიონს.

რეგიონული მნიშვნელობის მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება ის გაერთიანება, რომლის საქმიანობა მოიცავს რამდენიმე რაიონს რეგიონული ნიშნის მიხედვით.

ადგილობრივი მნიშვნელობის მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას მიეკუთვნება ის გაერთიანება, რომლის საქმიანობა მოიცავს ერთ რაიონს ან ერთ დასახლებულ პუნქტს.

მუხლი 7. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების სიმბოლიკა

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია ჰქონდეს სიმბოლოები დროშის, ემბლემისა და ვიმპელის სახით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების სიმბოლოებს ამტკიცებს მათი ხელმძღვანელი ორგანო თავიანთი წესდების შესაბამისად.

დროშა და ვიმპელი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 8. იურიდიული პირის სტატუსი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება ან მისი ორგანიზაციები (ორგანოები) შეიძლება სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად ცნობილ იქნენ იურიდიულ პირად საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის დღიდან.

II. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა და მისი საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 9. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება იქმნება არა ნაკლებ ხუთი კაცის რაოდენობით.

პროფესიული კავშირების დაფუძნება შეიძლება არანაკლებ ასი კაცის ინიციატივით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების დამფუძნებელი შეიძლება იყოს აგრეთვე სხვა საზოგადოებრივი გაერთიანება.

მუხლი 10. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი (მონაწილე) შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე; გაერთიანების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მასში უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა წევრობა.

ახალგაზრდულ საზოგადოებრივ გაერთიანებაში შეიძლება შევიდეს თხუთმეტი წლის ასაკს მიღწეული საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წევრს უფლება აქვს ოფიციალურ დოკუმენტებში არ აღნიშნოს საზოგადოებრივი გაერთიანების წევრობა, ასევე არავის არა აქვს ოფიციალურ დოკუმენტში ასეთი აღნიშვნის მოთხოვნის უფლება.

საზოგადოებრივ გაერთიანებაში, მისი წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება იყვნენ კოლექტიური წევრები — საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეთა გაერთიანებები.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების აპარატის მუშაკებზე ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის წესები.

მუხლი 11. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შემქმნელი საინიციატივო ჯგუფი იწვევს დამფუძნებელ კრებას (ყრილობას, კონფერენციას), რომელზეც იღებენ წესდებას (დებულებას ან სხვა დამფუძნებელ აქტს) და ირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოებს.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდება (დებულება ან სხვა დამფუძნებელი აქტი) უნდა ითვალისწინებდეს:

1) სახელწოდებას და მიზნებს;
2) სტრუქტურას და სამოქმედო ტერიტორიას;
3) წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის პირობებსა და და წესს, თუკი გაერთიანებას აქვს ფიქსირებული წევრობა;
4) წევრის (მონაწილის) უფლებებსა და მოვალეობებს;
5) ხელმძღვანელი ორგანოების კომპეტენციასა და შექმნის წესს, მათი უფლებამოსილების ვადებს;
6) საზოგადოებრივი გაერთიანების ან მისი ორგანიზაციის ფულადი სახსრებისა და სხვა ქონების შექმნის წყაროებს.
7) წესდებაში ცვლილებების შეტანის წესს;
8) საქმიანობის შეწყვეტის წესს;
9) საზოგადოებრივი გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს ადგილსამყოფელს.

მუხლი 12. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაცია

საქართველოს რესპუბლიკაში მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდებას რეგისტრაციაში უფასოდ ატარებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო.

განცხადება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წარედგინება დამფუძნებელი კრების (ყრილობის, კონფერენციის) ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში ამ მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ხელმძღვანელ პირთა ხელმოწერით და საცხოვრებელი მისამართების აღნიშვნით.

განცხადებას თან ერთვის დამფუძნებელი კრების (ყრილობის, კონფერენციის) სხდომის ოქმი და წესდება.

რეგისტრაციის შესახებ განცხადება განიხილება მისი შეტანიდან ორი თვის ვადაში.

წესდებაში ცვლილებები და დამატებები დადგენილი საფასურის გადახდის შემდეგ რეგისტრაციაში უნდა გატარდეს იმავე წესითა და იმავე ვადებში, რაც წესდებათა რეგისტრაციისათვის არის გათვალისწინებული.

მუხლი 13. რეგისტრაციაზე უარის თქმა და მისი გასაჩივრების წესი

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობას.

წესდების რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ერთი კვირის ვადაში წერილობით ეცნობებათ რეგისტრაციაზე უარი მიზეზის მითითებით.

წესდების რეგისტრაციაზე უარი მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში, რომელიც საქმეს განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით.

მუხლი 14. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტა

მოქალაქეთა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ შეიძლება საქმიანობა შეწყვიტოს რეორგანიზაციის (შერწყმის, შეერთების, გაყოფის) ან ლიკვიდაციის შედეგად.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების რეორგანიზაცია ხორციელდება მისი საერთო კრების (ყრილობის, კონფერენციის) გადაწყვეტილებით. რეორგანიზაციის შემდეგ ახლად შექმნილი საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების რეგისტრაცია ხდება ამ კანონის მე-12 მუხლით დადგენილი წესით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება მისი საერთო კრების (ყრილობის, კონფერენციის) გადაწყვეტილებით ან შემდეგ შემთხვევებში:

1) ამ კანონის ან საკუთარი წესდების დარღვევისას;
2) საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობის გამო.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ლიკვიდაცია ხდება საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის, იუსტიციის სამინისტროს წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ხმარდება მისი წესდებით გათვალისწინებულ მიზნებს ან შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაეცეს სახელმწიფო საკუთრებაში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

III. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა

მუხლი 15. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების მოქმედების თავისუფლება

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება მოქმედებს დამოუკიდებლად.

სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს ეკრძალებათ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

ის პირნი, რომლებიც ხელს უშლიან მის საქმიანობას, პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას და ქმნის იურიდიული პირის უფლებების მქონე საწარმოებსა და სამეურნეო ანგარიშიან ორგანიზაციებს მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესრულების მიზნით.

საზოგადოებრივი გაერთიანების საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ შეიძლება განაწილდეს გაერთიანების წევრებს შორის და გამოიყენება მხოლოდ საწესდებო ამოცანების შესასრულებლად ან საქველმოქმედო საქმიანობისათვის, თუკი ეს გათვალისწინებულია წესდებით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების მიერ შექმნილი სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტში იხდიან გადასახადს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით.

მუხლი 17. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საკუთრება

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს შენობები, მოწყობილობები, გამომცემლობები, სტამბები, სატრანსპორტო საშუალებები, საბინაო ფონდი, ინვენტარი, საწარმოები, რომლებიც მის წესდებაში აღნიშნული მიზნების შესაბამისად მისი სახსრებით იქმნება, ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა ქონება, რაც აუცილებელია წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების ფულადი სახსრები იქმნება შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან, ნებაყოფლობითი შენატანებისა და შემოწირულობებისაგან, ლექციების, გამოფენების, სპორტული და სხვა ღონისძიებებით, ლატარიებით მიღებული თანხით, საწარმოო-სამეურნეო და საგამომცემლო საქმიანობის შედეგად და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას უფლება აქვს, მიიღოს საზღვარგარეთიდან ფულადი სახსრები და სხვა ქონება მისი წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების წესდების მარეგისტრირებელი ორგანო კონტროლს ახორციელებს საზოგადოებრივი გაერთიანების მიერ წესდების მოთხოვნათა დაცვაზე, ხოლო საფინანსო ორგანოები კონტროლს უწევენ საზოგადოებრივი გაერთიანების საფინანსო საქმიანობას.

მუხლი 18. სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლება

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება თავისი რესპუბლიკური ორგანოების სახით. მას უფლება აქვს, საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით ჩაატაროს მიტინგები, დემონსტრაციები, და მსვლელობები, წარმოადგინოს და დაიცვას თავისი წევრების (მონაწილეების) უფლებები და ინტერესები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მუხლი 19. დავის განხილვის წესი

მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების დავა სხვა იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან განიხილება საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

IV. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საერთაშორისო კავშირურთიერთობანი

მუხლი 20. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების საერთაშორისო კავშირურთიერთობანი.

მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას შეუძლია შევიდეს საერთაშორისო საზოგადოებრივ (არასამთავრობო) ორგანიზაციებში, ჰქონდეს პირდაპირი საერთაშორისო კონტაქტები, დადოს შესაბამისი შეთანხმებანი, მონაწილეობდეს იმ ღონისძიებებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და საერთაშორისო ვალდებულებებს.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მოქალაქეთა საერთაშორისო საზოგადოებრივი გაერთიანება

საქართველოში შექმნილი მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება საერთაშორისოდ ითვლება, თუ მისი საქმიანობა წესდების თანახმად, ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკისა და ერთი ან მეტი უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საერთაშორისო გაერთიანების რეგისტრაცია, თუ მისი ცენტრი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს, უნდა მოხდეს ამ კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი წესით.

რეგისტრაციაში გატარებულმა მოქალაქეთა საზოგადოებრივმა გაერთიანებამ, თუ ის კოლექტიური წევრის სახით შევა საზღვარგარეთ შექმნილ საერთაშორისო გაერთიანებაში, თავისი წესდება ხელახალი რეგისტრაციისათვის უნდა წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შექმნილი უცხოეთის სახელმწიფოს საზოგადოებრივი გაერთიანების განყოფილებების (წარმომადგენლობების, ფილიალების, სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფების), საქმიანობას ეს კანონი აწესრიგებს.

მუხლი 22. საერთაშორისო ხელშეკრულებები

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილია ისეთი წესები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონს, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების წესები.

შეხვედრა ამერიკის კონგრესმენთან

საქართველოში სტუმრად არის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრი დანა რორაბაკერი. იგი მწერალი და ჟურნალისტია, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის დროს 7 წლის მანძილზე მუშაობდა თეთრ სახლში სპიჩრაიტერის თანამდებობაზე. 1988 წლიდან, არჩეულია კონგრესში, არის რესპუბლიკური პარტიის წევრი და წარმოადგენს კალიფორნიის შტატს. საგულისხმოა, რომ სწორედ ბატონმა რორაბაკერმა სენატორ ჰელმსთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს დახმარებას საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებისთვის, სადაც ხელისუფლება ხალხის ნების გამომხატველია.

ბატონი დანა რორაბაკერი ჩვენთან ჩამოსვლამდე კიევში იყო, თბილისიდან ერევანში მიემგზავრება, შემდეგ კი ეწვევა იუგოსლავიას, კერძოდ, ხორვატიას.

7 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა ბატონ დანა რორაბაკერს. გაიმართა გულთბილი საუბარი, რომელიც შეეხებოდა საქართველო-ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი ურთიერთობის საკითხებს და საქართველოს დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

ბატონმა დანა რორაბაკერმა გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ საქართველოს თანდათანობით სულ უფრო მეტი ქვეყანა დაუჭერს მხარს მის უთანასწორო ბრძოლაში სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის.

სტუმარმა გადასცა ბატონ ზვიად გამსახურდიას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ოფიციალური მიწვევა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტად ნაყოფიერი იქნება და ხელს შეუწყობს იმას, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ უფრო მეტი რამ გაიგოს საქართველოზე, მის ბრძოლაზე, რომ საქართველო უფრო დაუახლოვდება თავის სანუკვარ მიზანს — გახდეს მსოფლიოს ქვეყნების თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გულთბილი მადლობა გადაუხადა ბატონ დანა რორაბაკერს და მისი სახით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს მიწვევისათვის.

საქინფორმი.

დანა რორაბაკერი: „ამერიკელი ხალხი თავისუფლებისათვის მებრძოლთა მხარეზეა“

ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად არიან ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრი დანა რორაბაკერი და მისი პირადი მრჩეველი პაულ ბეჰრენდსი. 6 აგვისტოს სტუმრებს შეხვდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია.

შეხვედრაზე, რომელმაც საქმიან და კეთილმოსურნე ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა საუბარი საქართველოში მიმდინარე მოვლენების, ამერიკასა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის პერსპექტივებზე. როგორც აღინიშნა, საქართველოსათვის ამ მძიმე ჟამს მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამერიკის კონგრესში არიან ჩვენი რესპუბლიკის პრობლემატიკით დაინტერესებული პირები, რომლებთან თანამშრომლობა განამტკიცებს მჭიდრო და კონსტრუქციულ ურთიერთობების საფუძველს ორ ქვეყანას შორის. ამ ურთიერთობის პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა.

ამერიკელმა სტუმარმა განაცხადა, რომ მისი ვიზიტის მიზანია უშუალოდ გაეცნოს ჩვენს რესპუბლიკას, ქართველ ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას; მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად ამერიკის პრეზიდენტის პოზიციისა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან დამოკიდებულების საკითხში, ამერიკელი ხალხი მუდამ ადამიანის უფლებებისა და ღირსების დამცველ, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს უჭერს მხარს. სტუმარმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამერიკელ კონგრესმენთაგან პირველს მიეცა შესაძლებლობა, უშუალოდ განუცხადოს ქართველ ხალხს, რომ იგი მარტო არ არის თავის სამართლიან და ძნელ ბრძოლაში.

საუბრისას ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების გზებზე. აღინიშნა, რომ სამოცდაათწლიანი საბჭოთა რეჟიმის შედეგად რესპუბლიკამ უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო და დღეს უხდება ამ სიძნელეთა დაძლევა. ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო გადალახავს ყველა დაბრკოლებას და მას მსოფლიოს პროგრესული ძალების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონდეს.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

საკუთარ სახლში

მიტინგი სოხუმში

სოხუმში, რესპუბლიკის სტადიონზე 6 აგვისტოს გაიმართა აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენელთა მრავალათასიანი მიტინგი.

მიტინგი გახსნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ნუგზარ მგალობლიშვილმა. შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ აფხაზეთში ვითარება არათუ სტაბილიზირდება, არამედ მესამე ძალისა და მისი ადგილობრივი ხელქვეითების მეოხებით ყოველდღიურად იძაბება და რთულდება — უხეშად ირღვევა აფხაზეთის და საქართველოს კონსტიტუციები, აფხაზეთის ასსრ კანონი არჩევნების შესახებ. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ხელმძღვანელობს პირადი ამბიციური მიზნებით და ყოველნაირად ცდილობს დათესოს ძმათა შორის უნდობლობა, შუღლი, საკუთარი უნიათობა სხვებს გადააბრალოს და ამით პრივილეგირებული მდგომარეობა შეინარჩუნოს.

მათ მიერ დაუსრულებლად ინსპირირებულ აქციებს, საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულს, დაემატა აფხაზეთში უკანონოდ შემოყვანილი სადესანტო-საიერიშო ბატალიონის თავგასულობა, ძალის დემონსტრაცია, თვითნებობა, რაშიც აშკარად დომინირებს ცენტრიდან გამაგრებული დაუსჯელობის კომპლექსი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მედესანტეებმა სწორედ ამ სტადიონზე დაიწყეს სამხედრო ვარჯიში, სროლა, ვერტმფრენებიდან პარაშუტებით ხტომა, რაც სავსებით მიუღებელი და დაუშვებელია ქალაქის იმგვარად მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, როგორიც სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ხალხის დაბნევის და დაშინების ცდა, წინასაარჩევნოდ მასების დესტაბილიზაციის ცენტრის მიერ დამუშავებული და არაერთგზის გამოყენებული მეთოდი. სსრ კავშირის ჯარების ანტიხალხური ქმედების დამადასტურებელია ის კონფლიქტები, რომლებიც მათი ჩამოსვლის შემდგომ არაერთხელ მომხდარა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

გაუგებარი და აღმაშფოთებელია აფხაზეთის მთავრობის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ისინი მთელ საბჭოთა კავშირში სახელგატეხილ არმიას იწვევენ ისედაც დამშეულ, უსამართლობით წელში გატეხილ რესპუბლიკაში მაშინ, როცა სრულიად არ არიან საჭირონი, და საბაბს აძლევენ მათ თავიანთი ანტიდემოკრატიული საქმიანობა კიდევ უფრო „დახვეწონ“ და „გაალრმაონ“.

უმთავრესი ჩვენი პრობლემა დღეს, — აღნიშნა ნ. მგალობლიშვილმა, — გახლავთ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნების ნორმალურ, დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარება, რასაც თავიანთი ქმედებით ყოვლმხრივ ეწინააღმდეგებიან აფხაზეთის მთავრობა და სეპარატისტულად განწყობილი წრეები. თავიანთი საქმიანობით წმინდა კონსერვატიულმა აფხაზურმა ორგანიზაციებმა „სოიუზი“ დაირქვეს, მაგრამ შეუძლებელია მათ ლიდერებს არ ესმოდეთ, რომ ესენი „კავშირის“ კი არა — განხეთქილების და შუღლის მთესველნი არიან. რასაც ისინი სჩადიან, ყოვლმხრივ ეწინააღმდეგება აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის ინტერესებს. ფაქტობრივად მათმა „აქტიურმა“ ანტიდემოკრატიულმა მოქმედებამ განაპირობა ის, რომ შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც არნახულ სიყალბეს სჩადის. მათი „ლოცვა-კურთხევით“ ირღვევა აფხაზეთში საარჩევნო კანონის მე-15 მუხლი, იგნორირებულია ადამიანთა უფლებები, ოლქები იქმნება იმგვარად, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს ქართველთა მოქალაქეობრივი უფლებები, გარანტიები, მანდატები განაწილდეს პროცენტული შეფარდების გაუთვალისწინებლად. კერძოდ, გალის რაიონს, რომლის მოსახლეობა ქალაქ ტყვარჩელზე მრავალჯერ მეტია, ეძლევა 9 მანდატი, ხოლო ამ უკანასკნელს — 8 მანდატი. ანალოგიური მდგომარეობაა გაგრის ზონასა და სოხუმის რაიონში, აფხაზეთის სხვა რეგიონებში, რაც შემდგომში აფხაზთა მხარეს შესაძლებლობას მისცემს (სამწუხაროდ სრულიად უკანონოდ) პარლამენტში უზრუნველყოს ხმების ორი მესამედი და გაიტანოს ნებისმიერი მიუღებელი წინადადება. წინასაარჩევნო შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, — თქვა ნ. მგალობლიშვილმა — ჩვენ ვერ ჩავთვლით ამ უმსგავსო არჩევნებს კანონიერად, სანამ ხელახლა არ შეიქმნება საარჩევნო კომისია კომპეტენტური, ობიექტური პირებისაგან თანასწორუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით და სანამ განუხრელად დაცული არ იქნება საარჩევნო კანონი, რომელიც თვითვე მიიღო და დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ.

მიტინგის მონაწილეებს მიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატმა თამაზ ნადარეიშვილმა, რომელმაც გულისტკივილი გამოთქვა იმის გამო, რომ ახლა, როცა საქართველოს რესპუბლიკა დაადგა დამოუკიდებლობის გზას, აფხაზეთის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აშკარად გამოხატული სეპარატიზმი ირჩია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საარჩევნო კანონი თუ სადმე ირღვევა, ეს პირველ რიგში გაგრაზე ითქმის. აქ საარჩევნო კომისიის ორი მესამედი „სოიუზის“ წევრები არიან. ეს უკანასკნელი კი იმდენად ცნობილია თავისი ანტიხალხური, გამთიშველი საქმიანობით, რომ კონსოლიდაციისა და ერთობლივი გონივრული გადაწყვეტილების გარეშე ძნელი იქნება არსებითი შედეგების მიღწევა.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი რევაზ კეშელავა, თურქეთის მოქალაქე ისმაილ კვესიაშვილი, გულრიფშელი პედაგოგი სვეტლანა ნაგორნინა, მერაბ კოსტავას საზოგადოების გულრიფშის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი ედიკ გოქარიანი.

გალის პრეფექტის ედიშერ ჯანჯულიას გამოსვლაში გაისმოდა სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ აფხაზეთის მთავრობა აგერ უკვე რამდენი ხანია იწყებს რეგიონის ბლოკირებას, პრეფექტის იგნორირებას, იძებს იქ ჯარის შეყვანის მიზეზს, რასაც არა და არ შეეგუება გალის რაიონის 90-ათასიანი მოსახლეობა.

სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ავთანდილ დავითაიამ ხაზი გაუსვა აფხაზეთში სსრ კავშირის ჯარების დისლოცირების და საქმიანობის სრულ უკანონობას. მოითხოვა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმება, როგორც არაკანონიერად შექმნილისა.

უბრალო აფხაზ ხალხთან მეტი კონტაქტის, გონივრული დიალოგის აუცილებლობაზე, აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვაზე, ჩვენს რეგიონში კატასტროფულ ეკოლოგიურ ვითარებაზე ილაპარაკეს საზოგადოება „ლემის“ გამგეობის წევრმა ელგუჯა გულედანმა, აფხაზეთის მწვანეთა საზოგადოების ხელმძღვანელმა გია გვაზავამ, სოხუმის შრომითი კოლექტივების გაერთიანებული საბჭოს თავმჯდომარემ როდიონ შენგელიამ.

ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრმა ჯემალ გამახარიამ წაიკითხა სოხუმის ჩელიუსკინელების სახელობის ტურბაზის სხვადასხვა ეროვნების დამსვენებელთა კოლექტიური წერილი, სადაც ისინი მიმართავენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს იმ უკანონო და აღმაშფოთებელი, ჯარისკაცის მუნდირის შემარცხვენელი თავგასულობის გამო, რომელსაც სსრ კავშირის შინაგანი ჯარების „წარმომადგენლები“ იჩენენ აღნიშნულ ტურბაზაზე.

მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს უზენაესი საბჭოს მეცნიერების, კულტურისა და უმაღლესი სასწავლებლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე თემურ ქორიძე, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მანანა ძოძუაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და სხვები.

მიტინგმა მიიღო მიმართვა სსრ კავშირის პრეზიდენტის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საქართველოს და აფხაზეთის უზენაესი საბჭოების მიმართ.

მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას ის უაღრესად უარყოფითი შედეგები, რომელიც მოსახლეობაში გამოიწვია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს მიერ საარჩევნო კანონის ყოველმხრივმა დარღვევამ, ქართველი მოსახლეობის აშკარა დისკრიმინაციამ, საარჩევნო უფლებების ფეხქვეშ გათელვამ. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან, რამეთუ მან შეგნებულად, უხეშად დაარღვია აფხაზეთისა და საქართველოს კონსტიტუციები, საარჩევნო კანონი, ეწევა ცენტრის მიერ შთაგონებულ დემაგოგიურ პროპაგანდას, აჩაღებს ერთა შორის შუღლს. უნდა გადადგნენ აგრეთვე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყველა მოადგილე უკლებლივ, როგორც რესპუბლიკაში დესტაბილიზაციის ხელშემწყობნი. გაეგზავნოს შეტყობინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ადამიანის უფლებების იმ უხეში დარღვევების, აპარტეიდის პოლიტიკის გატარების შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთში ადგილობრივი კომუნისტური რეჟიმისა და ბლოკ „სოიუზის“ ხელშეწყობით.

მიტინგს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, პასუხისმგებელი პირები.

იოსებ ბოგვაია,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

კანონი უნდა განხორციელდეს

ზესტაფონში ძალზე გართულდა ოპერატიული ვითარება, დანაშაულმა საგრძნობლად იმატა. რაიონის მოსახლეობა უკმაყოფილოა ამით და მოითხოვენ მტკიცე, შეუპოვარ ბრძოლას მის წინააღმდეგ: დამნაშავეთა დასჯას, სამართლიანობას და წესრიგს.

რა მუშაობა მიმდინარეობს ამ მხრივ რაიონში, რა კეთდება იმისათვის, რომ კანონმა იკანონოს?

ამ საკითხების განმარტებისათვის ვესაუბრეთ რაიონის პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველს გია ებრალიძეს.

— ბატონო გია, მშრომელები სავსებით სამართლიანად ითხოვენ სოციალური დაცვის გარანტიებს, სიმშვიდესა და წესრიგს. თქვენ, როგორც პროკურორს, როგორ გესახებათ, რა გზას უნდა მივმართოთ სტაბილიზაციისთვის?

— წესრიგის დაცვის თვალსაზრისით მართლაც უკიდურესად დაძაბული ვითარებაა. ახლა, როცა რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის დამკვიდრებისათვის გადასაჭრელი გვაქვს უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები, სამწუხაროდ, იმატა მძიმე დანაშაულობებმა. ახლახან კიდევ ერთხელ შეგვახსენა ეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ. მისი საგანგებო ბრძანების საფუძველი ხომ ქართველის მიერ ქართველის წინააღმდეგ აღმართული მახვილი გახდა. საბედნიეროდ, ბოლო ხანს ამგვარი დანაშაული ჩვენს რაიონში არ ყოფილა, მაგრამ, ისევე, როგორც მთელ რესპუბლიკაში, კრიმინოგენური სურათი არც ჩვენთან გვაქვს სასურველი. დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს ის ფაქტები, რომ გასულ 6 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მკვლელობის მცდელობა 2 ერთეულით, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება — 4 ერთეულითაა გაზრდილი, გვაქვს გაუპატიურების — ერთი, სახელმწიფო ქონების ქურდობის — 19, სახელმწიფო ქონების ძარცვის — ერთი, მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის — ოცდაათი და ყაჩაღობის სამი ერთეულით ზრდის შემთხვევები. შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულობათა ასეთი დინამიკის ერთ-ერთი ხელისშემწყობი მიზეზი მათი გახსნისათვის გაწეული არადამაკმაყოფილებელი მუშაობაცაა. ამიტომ, როცა მართლწესრიგის შემდგომი სტაბილიზაციისათვის გასატარებელი პირველი რიგის ღონისძიებებზე ვსაუბრობთ, ჩემი აზრით, სწორედ ამას უნდა მივხედოთ. გაუხსნელი დანაშაული ფაქტობრივად საბაბი და წანამძღვარი ხდება ახლისა. ამასთან იქმნება დაუსჯელობის ატმოსფერო, რაც ესოდენ აღიზიანებს ჩვენს მოქალაქეებს. არადა, როგორც ასეთ საქმეთა შესწავლამ გვიჩვენა, გაუხსნელობის ძირითადი მიზეზი ჩვენი ოპერატიული და კრიმინალური სამსახურის ცუდი მუშაობაა. ამაში იგულისხმება არა მარტო სუსტი პროფესიონალიზმი, ანდა შესაბამისი კრიმინალისტური ტექნიკა, რომელიც მოკვლევისას უნდა იქნეს გამოჩენილი და რომელსაც მართლაც დანატრებულნი ვართ, არამედ კონკრეტული სუბიექტური მიზეზები, დარგის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობა.

არანაკლებ უშლის ხელს სტაბილიზაციას სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების უკანონოდ შეჩერების ფაქტები. საპროკურორო ზედამხედველობის მხრივ 6 თვეში ჩვენ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილების 17 საქმეზე მოგვიხდა უკანონოდ შეჩერების დადგენილების გაუქმება.

კანონიერების განმტკიცებისათვის გასატარებელ ღონისძიებებზე საუბრისას გვერდს ვერც თავად საზოგადოების აქტიურობას, მათ პოზიციას ავუვლით, ყველას მოეხსენება, რაოდენ დიდია ასეთი თანადგომის ძალა. არადა, გულახდილად თუ ვიმსჯელებთ, ამგვარი რაიმე ნაკლებად ჩანს, კულისებში თითქოს ყველაფერი იციან, ფაქტებსაც ადასტურებენ, მაგრამ ოფიციალური ინფორმაციის მოწოდებისგან თავს იკავებენ. ეს კი დამნაშავეთა სამყაროს ხელის შეწყობაა, ფაქტების მიჩქმალვაა, რაც ისევ საერთო საქმეს ვნებს. თავად განსაჯეთ: ხშირად მომხდარ დანაშაულზე ჩვენც გვაქვს ზოგადი ინფორმაციები, მაგრამ არა გვაქვს სათანადო მტკიცებანი, დამადასტურებელი ფაქტები, რომელსაც მოქალაქეები უნდა გვაწვდიდნენ, და ამდენად არც იურიდიულად მოქმედების საფუძველი გაგვაჩნია. ასე რომ, ჩემი აზრით, კრიმინალური მდგომარეობის გაუმჯობესების და ნანატრი სიმშვიდის დამყარების ძირითადი ფაქტორები ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა თანმიმდევრულ მოგვარებასთან ერთად, სამართალდამცავ ორგანოებთან საზოგადოების აქტიურ თანადგომასა და თანამშრომლობაშიც მდგომარეობს.

— ჩვენს მოქალაქეებს მძიმე დანაშაულობებთან ერთად არანაკლებ აწუხებთ სოციალური დაუცველობაც, კონსტიტუციურ უფლებათა უგულვებელყოფა და სხვა. უშუალოდ მათ ყოველდღიურ ყოფასთან დაკავშირებული პრობლემები. ამაზე რას გვეტყოდით?

— სწორი ბრძანებაა. მოქალაქეებს მართლაც ძალიან ბევრი რამ აწუხებთ, მარტო 6 თვეში ჩვენ 261 საჩივარ-განცხადების განხილვა მოგვიხდა. მიღებაზე კი 100-ზე მეტი მოქალაქე მოვიდა. ამ შემთხვევაში უმთავრესად დომინირებს სამუშაოზე მიღება-დათხოვნის, საბინაო პირობების, შრომის ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხები, მაგრამ ახლა მეორე მხარესაც შევხედოთ. ადამიანებს ხომ არანაკლებ პრობლემებს უქმნის ვაჭრობის და მომსახურების სფეროში შექმნილი განუკითხაობა. ჯერჯერობით ჩვენ დროის მოთხოვნათა შესაბამისად ამ საკითხებს ვერ ვწყვეტთ. ამიტომაც სამართლიანია ყველა შენიშვნა, რომელსაც ამ მხრივ გვიყენებენ. კომერცია და ბიზნესი, რომელიც დღეს იკიდებს ფეხს საქართველოს ეკონომიკაში, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, უნდა წარიმართებოდეს და არა ისე ქაოსურად, როგორც ეს ზოგიერთ კოოპერატივსა თუ ორგანიზაციაშია. სანამ ამ კანონების დაცვას ვერ შევძლებთ, მოქალაქეთა პრეტენზიები სამართლიანი იქნება. საპროკურორო ზედამხედველობის არეში მოხვედრილი ასეთი პრობლემები კანონის მთელი სიმკაცრით უნდა განვიხილოთ, თორემ ის, რომ უხარისხო პროდუქციის წარმოებაზე, წამატებაზე ან სხვა სახის დარღვევაზე, რომელიც სახელმწიფოს ზარალს აყენებს, კონკრეტულ დამნაშავეს სამოქალაქო სარჩელს ვუყენებთ, ბევრ ვერაფერ შეღავათს მისცემს მოქალაქეებს.

— დღეს ხშირად ვლაპარაკობთ კანონის უზენაესობაზე, მით უფრო სამართლებრივი სახელმწიფოს მოდელი მისგან ფაქტობრივად განუყოფელია, მაგრამ ყოველთვის როდი ვახერხებთ ამ უზენაესობის დაცვას.

— გეთანხმებით. ამის კონკრეტული მაგალითები რაიონშიც გვაქვს. დღეს ყველამ ვიცით, როგორი პოზიციაა რესპუბლიკაში მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით, ვიდრე ხელთ არა გვაქვს მიწის კანონი, მასთან მიმართებაში არც რაიმე აქტის განხორციელება შეიძლება. არადა, არც ისე დიდი ხნის წინათ საკმაოდ გახმაურდა რაიონის ორ სოფელში — დილიკაურსა და ფუთში კოლმეურნეობების დაშლის, მიწის ნაკვეთებისა და საკოლმეურნეო ფერმებიდან პირუტყვის თვითნებურად განაწილების ფაქტები.

მაშინ კანონის ამ აშკარა დარღვევაზე ხმის ამოღება არავის უცდია (მხედველობაში მაქვს ადმინისტრაციული და ხელისუფლების იმდროინდელი ოფიციალური ორგანოები), არადა უკანონობა, რაგინდ ამაღლებული მიზნითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, ყოველთვის ქაოსსა და მერყეობას იწვევს. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. მმართველობის ახალ სტრუქტურებს გარკვეული ბარიერი შეუქმნა ამ აშკარად უკანონო მოქმედებამ. მართალია, რაიონის პროკურატურას უკვე ხელთ აქვს ყველა მასალა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ კანონის უზენაესობა სწორედ იმ რთულ სიტუაციაში გამოგვეყენებინა, თვითდინებასა და ცალკეულ ინდივიდთა პრეტენზიებზე დაყრდნობილი ეს თვითდაშლა, ლიკვიდაციის პროცესი ამდენ გაურკვევლობებს აღარ შეგვიქმნიდა და შესაძლოა არც სისხლის სამართლის საქმის აღძვრა გამხდარიყო საჭირო.

თქვენ სამართლებრივ სახელმწიფოზე ბრძანეთ. ცხადია ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრება სამართლებრივი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია. ეს ერთმანეთზე დამოუკიდებელი ლოგიკური კანონზომიერებაა. მაგრამ ერთიცაა: აუცილებელია მეტი ვიზრუნოთ ჩვენი მშრომელების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის. ჩემი მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილებიდან ვიცი, რაოდენ დიდი ბარიერი იქმნება ხშირად სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებას შორის, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ დაბალია სამართლებრივი ცოდნის დონე. აღარაფერს ვამბობ იურისპრუდენციის საფუძვლიან ცოდნაზე, რაც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს მოქალაქისათვის აუცილებელია. ასე რომ, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა ყველას ერთად მოგვიწევს — სამართალდამცველ ორგანოებსა და საზოგადოებას.

— თქვენ ზემოთ საპროკურორო ზედამხედველობა ახსენეთ. ზესტაფონის რაიონი ეკოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი რთული და მძიმე რეგიონია, თქვენის მხრივ, რა ღონისძიებები გაქვთ განზრახული, რომ ნაწილობრივ მაინც გაუმჯობესდეს მდგომარეობა?

— დიახ, ჯერჯერობით ჩვენ მართლაც ნაწილობრივ თუ მოვახერხებთ იმ სირთულეების დაძლევას, რომლებსაც რაიონის ეკოლოგიური პრობლემები ჰქვია, რადგან მათი სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია. ახლახან რაიონში გაიმართა მწვანეთა საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების წარმომადგენლებიც, კონფერენციაზე საკმაოდ საგანგაშო სურათი გამოიკვეთა. ეკოლოგიური წონასწორობის ბალანსის დარღვევიდან გამომდინარე, შემაშფოთებელი პრობლემები წარმოჩინდა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის და დემოგრაფიის, წყლისა და მიწის რესურსების დაცვის თვალსაზრისით. ამ მხრივ მკვლევართა მიერ მოყვანილი ფაქტები და ანალიზი იმდენად საგანგაშოა, რომ რაიონის ეკოლოგიურად მწვავე ზონად გამოცხადების საკითხი დაისვა. ეს მცირე კომენტარი იმიტომ დამჭირდა, რომ ჩვენც მართლა ძალზე ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ეკოლოგიურ პრობლემებზე საპროკურორო ზედამხედველობის გააქტიურების მიზნით, რათა სათანადო სანქციების მეშვეობით უკვე კონკრეტულად განისაზღვროს ეკოლოგიური დისპროპორციის დაშვებისათვის პასუხისმგებლობა. ამ ღონისძიებების განხორციელებას უახლოეს ხანში მდინარე ყვირილას აუზის შესწავლით დავიწყებთ და, რა თქმა უნდა, ვითანამშრომლებთ მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენლებთან.

— და ბოლოს, ისევ დანაშაულობებზე მინდა გკითხოთ. მათი დინამიკის ასეთი ზრდის პირობებში როგორ აფასებთ თავად პროკურატურის საქმიანობას?

— წელსაც მოგახსენეთ და კვლავ გავიმეორებ, რომ ეს ყოველივე ჩვენი საქმიანობის ნაკლოვანებათა ლოგიკური შედეგიცაა. ძალიან გვაკლია საჯაროობა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომლებიც რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს — ვგულისხმობ ცალკეულ შემთხვევებში საწარმოებში მთელი რიგი საკითხებისადმი კანონსაწინააღმდეგო მიდგომებს. ალბათ, უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ 70-წლიანი ტოტალიტარული რეჟიმიდან შემორჩენილი ბიუროკრატიული ბარიერების დასაძლევად, პროკურატურას ამ საკითხზე თავისი გამოკვეთილი პოზიცია და მიმართულება უნდა ჰქონდეს. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ჩვენი, პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული ის, რომ შევქმნათ ნდობის ფაქტორი, დავარწმუნოთ საზოგადოება იმაში, რომ, სამართლებრივ-პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი რესპუბლიკის ყოფა მხოლოდ კანონის უზენაესობაზე, მოქალაქეთა კონსტიტუციური და პირადი ღირსების დაცვაზეა დაფუძნებული, ეს კი ძალზე გვჭირდება დღეს.

ესაუბრა
ჰენრი ზარიძაძე

ვინ ვინ არის

„კი, მაგრამ... ღმერთი აღარაა?!“

— **ეს** კითხვა უთუოდ გაუჩნდებოდა ყველას, ვინც კლარა აბრამიას იცნობს და გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ 4 აგვისტოს ნომერში მის წერილს და პორტრეტს იხილავდა.

საქართველოს წინააღმდეგ შეთითხნილი ასეთი პასკვილები ჩვენ დიდი ხანია, აღარ გვაკვირვებს. გულსატკენი უფრო ის არის, რომ ავტორი ქართული გვარის მატარებელია.

წუთით წარმოვიდგინე: კლარა აბრამიას ყველა ნაცნობს, მისი დაუსრულებელი შანტაჟებით სიცოცხლე გამწარებულ ყველა ქართველს რომ სათაურში გამოტანილი კითხვა ერთდროულად წამოეძახა, ხმა „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ რედაქციამდეც კი მიაღწევდა.

კლარა აბრამიას მთელი წერილი ისეთივე სიმართლის შემცველია, როგორც ეს პასაჟი: „ზვიადმა (რა შესაშური ფამილიარობაა — ი. ჭ.) კარგად იცოდა, რომ ჟურნალისტიკაში მუშაობის 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მე არ შევდიოდი კომუნისტური პარტიის რიგებში“.

ამ დროს კლარა აბრამიასაგან მრავალგზის ჯვარცმული „თბილისის“ რედაქციაა იმის მოწმე, თუ როგორ იბრძოდა იგი... პარტიაში შესასვლელად, როგორ ეძებდა რეკომენდატორებს და ვერასოდეს პოულობდა სამ თანამშრომელს რომელთანაც სამი წელი (ძალიან დიდი დროა! — ი. ჭ.) უჩხუბრად ექნებოდა გატარებული.

წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ, თურმე, პარტიული „ბოსები“ სდევნიდნენ „სიმართლის მოყვარულ“ კლარა აბრამიას, თურმე, მათ აიძულეს იგი მოსკოვში გადაბარგებულიყო.

სინამდვილეში ეს „ბოსები“, როცა დასჭირდებოდათ, მოსკოვში ჩაწერილ კლარა აბრამიას, კოლექტივის პროტესტის მიუხედავად, გაზეთ „თბილისში“ ამუშავებდნენ, როცა მათთვისვე საჭირო გახდებოდა, მოსკოვში „საკუთარ კორესპონდენტად“ გადაჰყავდათ.

კლარა აბრამია „სინანულს შეუპყრია“ იმის გამო, რომ თურმე, თავის დროზე კერპად ჰყავდა ბატონი ზვიად გამსახურდია და... ეხმარებოდა მას იმით, რომ... თვეში ერთხელ ჩამოდიოდა მოსკოვიდან, მის მიტინგებზე დასასწრებად. აქ კომენტარი, მართლაც, ზედმეტი იქნებოდა, ერთი რამ რომ არ მქონდეს სათქმელი:

იმ დროს კლარა აბრამია „თბილისის“ რედაქციის თანამშრომლებს გორბაჩოვით და ბაკატინით გვაშინებდა.

„კლარა, შენი სამართლიანი და უკომპრომისო სტატიები მათბობდნენ მე კამერაში“. აბრამიას თუ დავუჯერებთ, ეს სიტყვები მისთვის ბატონ ზვიად გამსახურდიას უთქვამს — პრეზიდენტად გახდომამდე ერთი წლით ადრე.

სხვისი არ ვიცი და მე ნამდვილად ვერ დავუჯერებ.

ისე კი, ძალიან საინტერესოა, თვითონ რომელ „სამართლიან და უკომპრომისო სტატიებს“ გულისხმობს ქალბატონი კლარა.

იქნებ „მოსკოვსკიე ნოვოსტში“ გამოქვეყნებული ეს წერილიც ასეთი ჰგონია.

აშკარაა, რომ ამ წერილის დაწერის მიზეზი უაღრესად პირადულია: საქართველოში აღარ გამოდის სამეგრელოს რეგიონის, ანუ კლარა აბრამიას გაზეთი „გზა ერთობისა“. ის გაზეთი, რომლის პირველ ნომერში ჩინგიზ აითმატოვი, დიახ ჩინგიზ აითმატოვი... „სამეგრელოს კულტურის აღზევებისათვის ზრუნვას“ გვპირდებოდა?! ის გაზეთი, რომელიც ერთობის კი არა, გათიშვის გზაზე გვიყვანდა, ის გაზეთი, რომლის გამოც „ლიტერატურული საქართველო“ სრულიად სამართლიანად მოგვიწოდებდა: „არ გამოიწეროთ „გზა ერთობისა!“...

„ხომ არ შეცდა ჩემი საქართველო (საბრალო საქართველო! — ი.ჭ.) არჩევანში... ნუთუ, ჩვენ, ქართველი ინტელიგენცია, არა ვართ პასუხისმგებელი ჩვენი ხალხის წინაშე, სიცრუეში თუნდაც უნებლიე მონაწილეობის გამო“. — რიტორიკულად კითხულობს თავის წერილში კლარა აბრამია.

და მე ახლა ერთადერთი რამ მაინტერესებს: რამდენია საქართველოში კლარა აბრამიასთანა „ინტელიგენტი“, რომელსაც ასეთი კითხვები „აწვალებს?“

...გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში კლარა აბრამიას პირადი წერილების მთელი კოლექცია ინახება. რას არ იპოვით ამ წერილებში; მუქარას, შანტაჟს, ლანძღვას, სხვის ოჯახურ საქმეებში, სულში ხელის ფათურს...

პირადად მე ერთ-ერთ ბარათში ასე მწერს: „მე ქე ვარ ვარდივით“. იმ დროს კლარა აბრამია, მართლაც, „ვარდივით იყო“, რადგან ზურგს უმაგრებდა კრემლი და მის მიერ დანიშნული ჩვენი რესპუბლიკის მარიონეტული მთავრობა.

კლარა აბრამიას დღეს მხოლოდ და მხოლოდ ის აწუხებს, რომ „ვარდივით“ ვეღარ არის, რადგან საქართველოში მისი მფარველი კრემლის აღარავის ეშინია.

და კიდევ: წერილიდან შევიტყე, რომ კლარა აბრამიას უარი უთქვამს ხელფასის აღებაზე. ეს მისთვის ჩვეული მეთოდია, რომელიც კრემლის ბატონობის პირობებში საუკეთესოდ ჭრიდა. მე დიდი ხანია ვიცი, რომ კლარა აბრამიას ხელფასი არ სჭირდება, მაგრამ მაინც ყოველთვის მიკვირდა, რომ ოფიციალურად არავინ სვამდა ასეთ შეკითხვას: როგორ უნდა იცხოვროს პატიოსანმა კაცმა მოსკოვში უხელფასოდ...

იოსებ ჭუმბურიძე,
გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის მოადგილე, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი.

საკუთარ სახლში

როგორია საქართველოს ავიადისპეტჩერთა პოზიცია?

— **ისინი** სამართლიანად მიიჩნევენ და იმედოვნებენ, რომ დააკმაყოფილებენ სსრ კავშირის ავიადისპეტჩერთა მოთხოვნებს, რომლებიც 10 აგვისტოს 00 საათიდან აპირებენ უვადო გაფიცვის დაწყებას, — გვიპასუხა საქართველოს ავიამუშაკთა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია თეთრაძემ. — გადადო რა, წლევანდელი მაისისათვის დაგეგმილი საყოველთაო გაფიცვა, ქვეყნის ავიადისპეტჩერთა პროფკავშირის ფედერაციის ცენტრალური საბჭო კიდევ ერთხელ ენდო სსრ კავშირის მინისტრთა კაბინეტის სიტყვას, რომელიც დაგვპირდა ავიადისპეტჩერთა და მფრინავთა შრომისა და ცხოვრების პირობების არსებითად გაუმჯობესებას.

ამავე დროს კი, სინამდვილეში ყველაფერი პირიქით მოხდა. სსრ კავშირის მთავრობის ისედაც ორჭოფული დადგენილება არ სრულდება, კერძოდ, არ ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც ეხება 36-საათიანი სამუშაო კვირის, 48-დღიანი შვებულების შემოღებას, პენსიაზე გასვლას 50 წლიდან. ამავე დროს დაიწყო რეპრესიები გაფიცვის მთელი რიგი ორგანიზატორების მიმართ, დააპატიმრეს ბიკოვისა და ლენინგრადის აეროპორტების რამდენიმე ავიადისპეტჩერი.

— ჩვენი ავიადისპეტჩერები, ასეთი კი საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს სისტემაში დაახლოებით ოთხასი კაცია, იწონებენ საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნებს, მაგრამ ითვალისწინებენ რესპუბლიკაში შექმნილ რთულ სოციალურ სიტუაციას, — თქვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსმა დემურ ლელაძემ. — მაგალითად, მიღებულია ერთობლივი გადაწყვეტილება განვაგრძოთ ავიარეისების შესრულება რესპუბლიკის შიდა ხაზებზე. რაც შეეხება ფრენას საქართველოს ფარგლებს გარეთ, იმ შემთხვევაში, თუ დაიწყო გაფიცვა და არ გვექნება საკუთარი ეროვნული ავიაკომპანია, ეს შეუძლებელი გახდება. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა. საგაფიცვო კომიტეტის მოთხოვნები სამართლიანია, და, ვფიქრობ, ორივე მხარე მიაღწევს ურთიერთმისაღებ შეთანხმებას, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუქმოთ 10 აგვისტოსათვის დაგეგმილი აქცია.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ.

ტელევიზია

მეორე არხი იბრძვის... მაყურებლისათვის

წლების მანძილზე საქართველოს ტელევიზია ცენტრალური ტელევიზიის ნახმარი, გამოყენებული და გაცვეთილი ტექნიკით „იკვებებოდა“ და ახლა, ამ „ნასუფრალით“, გარკვეული ორგანიზაციულ-შემოქმედებითი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიუხედავად, მაინც ძნელია საინტერესო შემოქმედებითი იდეის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელება. მით უმეტეს, ძნელია დღეს საქართველოში ტელეპროგრამების აგება: გვინდა ეროვნულიც იყოს და, ამავე დროს, ევროპულ-ამერიკულიც, გვინდა „მოამბე“ „სი-ენ-ენ-ს ჰგავდეს, ხოლო ჩვენი მოკრძალებული დიქტორ-წამყვანები — კრონკაიტს.

და მაინც, „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“, — ამბობს საქართველოს ტელევიზიის მეორე არხის დირექტორი სერგო ბიწაძე, რომელიც დაჟინებით იბრძვის მაყურებლისათვის.

— ბატონო სერგო, როგორც ტელევიზიაში ჩახედულმა კაცმა, ვიცი, რომ ყველა ახალი და საინტერესო იდეის ხორცშესხმის ალფა და ომეგა ტექნიკური ბაზაა. მეორე არხი რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიით ხომ არ სარგებლობს ამ მხრივ? საქინფორმის კორესპონდენტის ამ შეკითხვით დაიწყო საუბარი სერგო ბიწაძესთან.

— არავითარი განსაკუთრებული და განსხვავებული სხვა არხებისა და პროგრამებისაგან ჩვენ არა გვაქვს. ბოლო დროს, გაჩნდა იმედი — გარდა იმისა, რომ რადიო-ტელევიზიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ყურადღებას არ გვაკლებს, პარტნიორობა შემოგვთავაზა თბილისის უნივერსალურმა ბირჟამ, რომელიც ახალი ტექნიკით აღჭურვას გვპირდება.

— თქვენს არხზე ყოველდღე ორი მხატვრული ფილმია. საიდან მოგაქვთ ისინი?

— ჩვენ კავშირი გვაქვს მოსკოვის კომერციულ ფირმებთან, რომლებსაც თავის მხრივ, ფილმებზე ლიცენზიები აქვთ შეძენილი. მათგან ხელშეკრულებით, გადარიცხვით ვიძენთ. ასე რომ, ყველაფერი კანონიერად ხდება და არა ქურდობით. ოღონდ ჩვენი კინომცოდნეები მათ კატალოგებში წინასწარ არჩევენ ჩვენი მაყურებლის გემოვნებისა და ინტერესების შესაბამისად. ჯერჯერობით ფილმები რუსულენოვანია, მაგრამ ბოლო ხელშეკრულებით გამოგვიგზავნიან ორიგინალებს, რომლებსაც ჩვენ ქართულად ვთარგმნით.

— თქვენს პროგრამაში 5 აგვისტომდე არ ჩანდა ადამიანი: წამყვანი ან დიქტორი მაინც. რატომ?

— დიახ, ეს ჩვენი ერთ-ერთი პრობლემაა. გვინდოდა სტანდარტებისათვის გვერდი აგვევლო: ორიგინალობისათვის ამას წინათ ტყუპ წამყვანებზე კონკურსიც კი გამოვაცხადეთ, მაგრამ ამაოდ.

— რატომ ამაოდ, არ მოვიდნენ?

— მოვიდნენ, მაგრამ დონე არც დღევანდელობას და არც, მით უმეტეს, მომავალს არ შეეფერება.

— ტყუპების მოწვევაში რა ჩანაფიქრი იყო?

— რადგან სახელს არ წავაწერდით, მაყურებლისათვის ძნელი გასარკვევი და საინტერესო იქნებოდა, თუ ტყუპთაგან რომელი უძღვება გადაცემას. მხოლოდ კვირის ბოლოს ერთობლივი გადაცემისას გაირკვეოდა, „ვინ ვინ არის“. ეს დიდი შინაარსიანი და განსაკუთრებული მიგნება არ არის, მაგრამ ისეთ გასართობ პროგრამას, როგორიც ჩვენი არხია, ვფიქრობთ, მოუხდებოდა.

— როგორი იქნება თქვენი არხი ხვალ, ზეგ?

— პირველ რიგში, ჩვენ არ ჩავერევით პირველი არხის საქმეებში. რა თქმა უნდა, „მოამბეს“ კვლავაც ჩავრთავთ, მაგრამ ჩვენი საკუთარი პროდუქცია განსხვავებული იქნება. მაგალითად, ჩვენ მიერ მომზადებული მუსიკალური კლიპებით რეკლამას გავუწევთ ფართო საზოგადოებისათვის უცნობ ჩვენსავე მუსიკალურ კოლექტივებს, მომღერლებსა და შემსრულებლებს, ხალხურ შემოქმედებას. ამ კლიპებს ჩვენ გავყიდით კიდეც. ეს ჩვენი მარკეტინგია.

მოვაწყობთ შოუ პროგრამებს, მართალია, რთულია, მაგრამ ვეცდებით თავი გავართვათ. დიდ ადგილს დავუთმობთ ეროვნულ სპორტს. მაგრამ; საერთოდ, პრობლემები ჩვენი საქმე არ არის, ჩვენი მიზანია — მაყურებლის გართობა.

— ამბობენ, რომ თქვენ „გააგდეთ“ „მერმისი“...

— „მერმისი“ დამოუკიდებელი ტელეკომპანიაა და ამიტომ თვითონ უნდა ირჩინოს თავისი თავი. ჩვენი ტელევიზია „მერმისის“ დამფუძნებელია, — მისცა არხი და თანხა. მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაც დაირღვა ხელშეკრულებაში. ალბათ, ახლო მომავალში „მერმისიც“ აღდგება ჩვენს ეკრანზე. ეს შემოქმედებითაც, კონკურენციის თვალსაზრისითაც კარგი იქნება მეორე არხისათვის. ჩვენც დავიხვეწებით. მხოლოდ დავიხვეწებით „უსასყიდლოდ“, რადგან, ჩვენ არასდროს ვიქნებით კომერციული პროგრამა.

— რა ასაკის ხალხია თქვენს რედაქციაში?

— ძირითადად ახალგაზრდები — ოცდაათ წლამდე. ყველანი ჩვენი, ტელევიზიის თანამშრომლები არიან. მხოლოდ მთარგმნელები მოვიწვიეთ.

— რამდენი დღის პროგრამას ადგენთ წინასწარ?

— ჯერჯერობით სამი დღისას. მალე, მთელი კვირის პროგრამას შევადგენთ და წინასწარ გაზეთებშიც გამოვაცხადებთ.

— ზოგჯერ თქვენი არხი არ მუშაობს...

— დიახ, ოთხშაბათობით, პროფილაქტიკის გამო. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს დიდი ნაკლია. ოთხშაბათიც ჩვეულებრივი, „მძიმე დღეა“ და ხალხს გართობა სჭირდება. ტელევიზია ხომ ქარხანა არ არის გააჩერო, გამოკეტო; ჩვენი აზრით არხს დასვენება არ სჭირდება, რადგან რედაქტორები და რეჟისორ-მემონტაჟეები ყოველდღე იცვლებიან, რიგრიგობით ისვენებენ. მომავალში ქრონომეტრაჟსაც გავზრდით — საღამოს ხუთი საათიდან — გვიან ღამემდე. პროგრამას გავზრდით უცხო ენების სწავლების, ბირჟების, მარკეტინგის, ბიზნესის, მენეჯმენტის შესახებ ვიზუალური საინტერესო გადაცემების ხარჯზე. ინგლისის „ბი-ბი-სის“ ცნობილი საგზური მზად არის მოგვაწოდოს სასწავლო პროგრამები. დაგვეხმარებიან საფრანგეთის, იტალიის ტელევიზიები და „სი-ენ-ენიც“.

— რუსეთი თქვენს არხზე თუ აისახება?

— ჩვენ უკვე მივმართეთ რუსეთის ფედერაციის არხს. შევთავაზეთ შემეცნებით-გასართობ სფეროში თანამშრომლობა, მაგრამ ჯერჯერობით დუმან. ასევე დუმან ბალტიისპირეთის ტელევიზიები. ალბათ, ჯერ არ სცალიათ გართობისათვის.

— თქვენს რედაქციაში თუ არის შემოქმედებით ჯგუფებს შორის კონკურენცია?

— ჯერჯერობით ნაკლებად. მაგრამ ხელშეკრულების პრინციპზე რომ გადავალთ, კონკურენციაც იმატებს. უამისოდ წარმოუდგენელია ყოველგვარი ტელევიზია და, საერთოდ, შემოქმედება.

ომარ ჩიტაია,
საქინფორმის კორ.

●

სურათებზე: საქართველოს ტელევიზიის მეორე არხის დირექტორი სერგო ბიწაძე; მზადდება ახალი პროგრამა.

გივი კიკვაძის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპორტი

მასთან ერთად მყინვარწვერზე ავალ

ცნობილი გამოთქმა „მასთან ერთად დაზვერვაში წავალ“ მთამსვლელებმა გადააკეთეს. და სწორადაც მოიქცნენ. თუ თქვენ შეძელით მყინვარწვერზე ასვლა, მაშასადამე, ჩააბარეთ ვაჟკაცობისა და გამბედაობის, ერთგულებისა და მეგობრობის გამოცდა. ქართველ მთამსვლელებს ეს თვისებები არ აკლიათ. და როგორც ყოველივე ამის დადასტურება — სასიამოვნო ახალი ამბავი. საქართველოს ალპინისტთა კლუბი გახდა იუნესკოს საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

ამას ქართველი მთამსვლელები თითქმის შვიდი ათეული წელი ესწრაფოდნენ. მას შემდეგ, რაც ცნობილი მეცნიერი გიორგი ნიკოლაძე ახალგაზრდა ჩეკლდეურებთან ერთად 1923 წელს ავიდა მყინვარწვერზე.

ლეგენდარული გახდა და-ძმის ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეების სახელები. ქართული ალპინიზმის აღზევების პერიოდი იყო კლდის ვეფხვის მიხეილ ხერგიანის წარმატებები. მისი მაგალითით მთამსვლელთა არაერთი თაობა აღზრდილა.

— ახლა კავკასიის, პამირის, ტიან-შანის, მთებში ვაწყობთ რესპუბლიკის პირველ ეროვნულ ჩემპიონატს, — გვითხრა ქართული ალპინისტური კლუბის დირექტორმა გიორგი სხაიამ. — ჩემპიონატში მონაწილეობენ ქუთაისელი, ბათუმელი, სოხუმელი, რუსთაველი, ყაზბეგელი, გორელი, მესტიელი მთამსვლელები. ოქტომბერში შედეგებს შევაჯამებთ. მაშინ გაიმართება მიხეილ ხერგიანისადმი მიძღვნილი მემორიალიც, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთის ქვეყნების მთამსვლელებიც.

სამწუხაროდ, საზღვარგარეთ კარგად არ გვიცნობენ. უწინარეს ყოვლისა, გვჭირდება რეკლამა. ამიტომ მიმდინარე წელს უფასოდ ვუმასპინძლებთ ყველას, ვისაც სურს კავკასიონის მთებში ჩამოსვლა. მაგალითად, ამ დღეებში ჩამოდიან ირლანდიელი სტუმრები, რომლებიც გადაიღებენ ფილმებს კავკასიის მთებზე.

— მიიღებენ თუ არა ქართველი მთამსვლელები მონაწილეობას საზღვარგარეთულ ექსპედიციებში?

— დიახ, მივიღეთ მიწვევა ანკარიდან. თურქეთი გვეპატიჟება საერთაშორისო ალპინისტურ ექსპედიციაში მონაწილეობისათვის. ეს ძალზე საპატიოა, რადგან ჩვენს გარდა ექსპედიციაში მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, იტალია, ავსტრია, იაპონია, იუგოსლავია და რუმინეთი.

— ვინ აფინანსებს ქართველ მთამსვლელთა მონაწილეობას?

— ფულის ნაწილს გამოყოფს საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, ნაწილს კი ჩვენი სპონსორები — ისინი კი მრავლად არიან, რადგან საქართველოში უყვართ მთამსვლელობა.

— კი მაგრამ, როდის მიიღებს თვითონ საქართველო საერთაშორისო ექსპედიციებს?

— ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. გვინდა ავაშენოთ ახალი ალპინისტური ბანაკი ყაზბეგში. სხვათა შორის, ჩვენთან ჩამოვიდნენ გერმანიის ერთ-ერთი იმ ფირმის წარმომადგენლები, რომელიც აბანდებს კაპიტალს ალპინიზმში. მიმდინარეობს მოლაპარაკება.

ჩვენთან ჩამოსვლას აპირებენ აგრეთვე უელსელი და ისრაელი მთამსვლელები. კავკასია მაგნიტივით იზიდავს ყველას, ვისაც უყვარს მთები.

ენდი ჭამიერაშვილი,
საქინფორმის კორ.

განცხადება

განსაკუთრებული პრივილეგიით ისარგებლებენ

თბილისის 97-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი გიწვევთ სწავლის გასაგრძელებლად

სასწავლებელი ამზადებს თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვასათვის“ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს შემდეგი სპეციალობების მიხედვით:

1. 9-კლასდამთავრებულთათვის:
   ა. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი.
   ბ. რადიოელექტრონული ხელსაწყოების მემონტაჟე.
2. 11-კლასდამთავრებულთათვის:
   ა. რადიოელექტრონული აპარატურის მემონტაჟე
   ბ. ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზებისა და დანადგარების ოპერატორი
   გ. კვების პროდუქტების წარმოების მოწყობილობების გამმართველი
   დ. ელექტრომოწყობილობათა შემკეთებელი ზეინკალ-ელექტრიკოსი

სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია, სტიპენდია 30-80 მანეთი

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და 9 კლასის განათლების მქონე ახალგაზრდები 15-დან 30 წლამდე.

სასწავლებლის შენობაში მოთავსებულია ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, დაუსწრებელი განყოფილება და დავით აღმაშენებლის სახელობის კომერციული საინჟინრო ეკონომიკური ინსტიტუტი — დღის სწავლების განყოფილება. აღნიშნულ ინსტიტუტებში ჩარიცხვისას განსაკუთრებული პრივილეგიებით ისარგებლებენ სასწავლებლის კურსდამთავრებულები. დამთავრების შემდეგ ნაწილდებიან, როგორც გაერთიანება „ელვაში“, ასევე თავის სურვილისდა მიხედვით. ეძლევათ უფლება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გამოცდების ჩაბარებისა. სწავლის პერიოდში ეძლევათ სტიპენდია.

სასწავლებელში ჩარიცხვა ხდება გასაუბრებით.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება**
2. **საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი)**
3. **დაბადების მოწმობა (დედანი)**
4. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან**
5. **დახასიათება**
6. **6 ცალი ფოტოსურათი (3X4)**

პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

სწავლა დაიწყება 2 სექტემბერს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან 5 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

სასწავლებლის მისამართი: ჯიქიას ქუჩა № 3. მშენებელ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის ტერიტორია.

ტელეფონები: 31-21-76, 31-93-31, 31-93-29.

ტრანსპორტი: ავტობუსი 2, 47, ბოლოსწინა გაჩერება.

ავტობუსი 20, 53 და ტროლეიბუსი 4, 5, 6, 12, 14, ვაჟა-ფშაველას გამზირის ბოლო გაჩერება.

დირექცია.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას ქ. № 29.
ინდექსი 64434